


ქართული

4(29) 2010
08:00-18:00სატრ



ქართული მარცო ენა?
ქართული ქართველთ რემენა?
ღმერთია, ბედისწერთა,
ზღვა როთ, იძოდენა!

გარეანის ქართული სატვისტოოს რეგისტრაცია

ნოვაჟია:

საპირვედოების დაქსი

3

ქაშთველი მხედართმთავები
პეტე ბაგაციონი

4-7

ცემოლე თქმულის
წათოლიუმს-პატიაშე (1919-1921)

7-9

Auszug aus dem Buch „Kriegsreporter“
von Julian Reichelt

9-12

ომილან იჩი ცის შემლები

13-14

აფხაზთა გუდის სიმებს ფიტნიდაღ უნდა შევეხოთ!

15-16

სევსუქეთის დაბენდა და სინამდვირე

17-18

ეხთი საათი იანო-თამაშთან

19-23

100 საცემი ბეჭოსაფვის

23-26

სევისფეხი კაცის ფიქები

26-27

პოეზია

28-29

С І З О К З І Г І З І Г І

ବ୍ୟାକିତାଗର୍ଭଲଙ୍ଘ

አዕሱን ነገር፡ ተኩረለመችን ሲ ምክበን የገልፎ.

መጠሪ ተስተዋወ፡ ክብረመልካም ገዢዎት የሚያሳይሉ.

ነገሮቻውን የገዢነት ተኩረ ተኩረውን የመሆኑን የገልፎ.

ለዚ ክብረመልካም ያደረገ፡ የማይ መግዛት ይጠናልኝ የገልፎ.

დაძინი მარის: თუთი ლოცვით ათოვლებული
საქო გემანების: სან მყოფელი და სან კი ჰელტი
ნერდათა განის ციუმლიანი ძოჭილი ლელტი
და ცხელი ჯანი: ნინოს თმებით ეანათებული.

მე მიყვალი შენი გამოხელი: ძეგლი. მესაული.
მშილ უნიტარული ქოთაც სიციკლით მომ მოგვარა.
მაგრამ ხელავალი: სააკადე ლანდინგით მოლის:

ગાન્ધીજીની જીવનસ્તુતા

1919

სახელმწიფო მუზეუმი

ქართველი მუზეუმის შემონაბეჭდი

პეტრე ბაგრატიონის უშუალო წინაპრები მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში ცხოვრიბდნენ. ამ დროს არაერთი ქართველი მოწყდა სამშობლოს და უცხოეთში გაიხიზნა. გადახვეწილთა საკმაო რაოდენობა იყო ქალაქ ყიზლარში. იქ მყოფმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. მათ შორის იყო პეტრეს მამაც – ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, რომელიც ქართლის მეფის, ვახტანგ მეექვსის ძმის – ივეს მეფის შთამომავალი გახლდათ.

დღემდე დანამდვილებით არ ვიცით ვინ იყო პეტრე ბაგრატიონის დედა, ცნობილია მხოლოდ, რომ პეტრეს პაპა, ალექსანდრე, თავისი ოჯახით 1757 წელს გადასახლდა ქალაქ ყიზლარში, სადაც რუსეთის სამხედრო სამსახურში შესულა. მას თავისი შვილი იოანეც სამხედრო სამსახურში შეუყვანია. იოანეს პოლკონიკის ხარისხამდე მიუღწვია. 1765 წელს იოანეს შეეძინა ვაჟი პეტრე.

პეტრეს მამიდა, ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი, მეუღლე თავად გოლიცინისა, პეტრეს ჭაბუკობის დროს პეტრეს ბურგში ცხოვრიბდა. მან 1781 წელს თავისთან დაიბარა ყიზლარში მცხოვრები ძმისწული. პეტრე დაუყოვნებლივ გაემგზავრა მამიდასთან, რომელსაც იმ დროს რუსეთში ყოვლასშემძლე პოტიომკინმა ძმისწულის სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა აღუთქვა.

ბაგრატიონის პასუხებით კმაყოფილმა პოტიომკინმა ბრძანება გასცა, რომ იგი სერვანტად ჩაერიცხათ კავკასიის მუშკეტერთა პოლკში.

1783 წლიდან პეტრე მონაწილეობდა ჩეჩენების წინააღმდეგ ლაშქრობაში, აქ პირველივე ბრძოლისთანავე მას პრაპორჩიკის ხარისხი მიანიჭეს.

1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს მოიგადა. 1788 წელს სუვოროვის ხელმძღვანელობით ბაგრატიონმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა ციხე-სიმაგრე ოჩაკოვის აღებისას. 1792 წელს 27 წლის ბაგრატიონს სამსახურში წარჩინებისათვის მაიორის ხარისხი უბოძეს. 1794 წელს ბაგრატიონი უკვე დივიზიის მეთაურია და სოფიის კარაბინერთა პოლკში

მსახურობს. 1798 წელს ბაგრატიონმა პოლკონიკის ხარისხი მიიღო და ეგერთა მექენის პოლკის მეთაურად დაინიშნა. პოლკის წარმატებით წარმატების გამო მან გენერალ-მაიორის ხარისხი მიიღო.

მეფის რუსეთი ყველანაირად იბრძოდა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ და მოკავშირებთან ერთად ომში ჩაება. 1799 წლის აპრილში ბაგრატიონმა ციხე-სიმაგრე ბრესტიო აიღო და მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი დატყვევა. ამის გამო იგი წმინდა ანას ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო ქალაქ ლეკას აღებისათვის იმპერატორმა იოანე იერუსალიმელის ჯვრით დაჯილდოვა. ფრანგი გენერლის, მორის დამარცხებისათვის ბაგრატიონმა ალექსანდრე ნეველის სახელობის ორდენი მიიღო.

ტავერნოდან ციურის ორი გზა მიდიოდა: ერთი სრულიად უსაფრთხო, მაგრამ გრძელი, მეორე მოკლე მდინარე რეიისის ხეობით. სუვოროვი ავსტრიის ოფიცერებს დაყრდნო და მეორე გზა აირჩია, რათა ზურგში მოქცეოდა მასენას. ავსტრიელებმა არ გაითვალისწინეს, რომ ეს გზა ქალაქ შვიცამდე არ მიდიოდა და გადასალახად როული იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ბაგრატიონი დანიშნულ დროს მიყიდა ადგილზე და მტერს მოულოდნელად ზურგიდან დაესხა თავს. ფრანგები ცუდ დღეში ჩაგრდნენ და პოზიციები დატოვეს. ამის შემდეგ რუსთა რაზმები ალტორფისაკენ დაიძრნენ. 16 სექტემბერს ალტორფიდან შვიცისკენ დაიძრა ბაგრატიონის ავანგარდი და ქედის თოვლიანი ბილიკებით მივიღნენ ადგილზე. ჯარი დაიღალა და საკვებიც გამოელიათ, ამას ისიც დაემატა, რომ სუვოროვს მოუვიდა მოხსენება გენერალ ლინკენის დამარცხებისა, რაც სუვოროვის არმის ალყაში ყოფნას ნიშნავდა. რჩებოდა ერთადერთი გზა გლარისზე და იქიდან ილანცხვე გასვლა ავსტრიელებთან შესართობლად.

ბაგრატიონის განკარგულებაში იყო 6000 კაცი, ამ ძალით მას უნდა უკუექცია საფრანგეთის ორი ბრიგადა. ლენტარის ხეობაში ბაგრატიონმა 19 სექტემბერს ხიშტებით მიიტანა იერიში და მტერი

ქართველი

უკუაგდო.

არმია 23 სექტემბერს ღამით დაიძრა. მას დასაფარავად უკან მიჰყებოდა ბაგრატიონი თავისი არიერგარდით. ფრანგების ავანგარდი მალე წამოეწია ბაგრატიონის არიერგარდს, რომელიც 2000 კაცისაგან შედგებოდა და საბრძოლო მასალაც ცოტა პქონდათ. ბაგრატიონი 12 საათის განმავლობაში იგრიებდა მტერს. ფრანგებმა მხოლოდ ღამით შეწყვიტეს ბრძოლა.

ბაგრატიონის გამჭრიახობით და სიმამაცის წყალობით რუსეთის არმია სამშვიდობოს გავიდა. ასე დასრულდა რუსეთის ლაშქრობა შვეიცარიაში. პავლე პირველმა ბაგრატიონი ლეიბ-გვარდიის შეუად დანიშნა.

ამ ბრძოლების შემდეგ ბაგრატიონს ყველგან დიდი პატივით ხვდებოდა. ერთხელ სასახლეში გამართულ ბალზე ბაგრატიონი შეხვდა გრაფის ასულ ელისაბედ სკავრონსკაიას. გმირი ბაგრატიონი მალე მგზნებარე სიყვარულმა შეიძყრო. მეფის ჩარევით გრაფის ასულმა და პეტრემ ჯვარი დაიწერეს, მეჯვარე პავლე იმპერატორი იყო.

შენგრაბენთან ბრძოლაში ბაგრატიონმა და მისმა არიერგარდმა სბლია მრავალრიცხოვან მტერს. ფრანგებმა მათ „გმირთა გუნდი“ უწოდეს. ბაგრატიონმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ბაგრატიონს



პეტრე ბაგრატიონი

გენერალ ლეიტენანტის ხარისხი და წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენი უბოძა. ავსტრიის იმპერატორმა კი მარია-ტერეზას უმაღლესი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ალექსანდრე პირველისა და მისი მრჩევლების მოთხოვნით მოკავშირეთა არმია 27 ნოემბერს ნაპოლეონის წინააღმდეგ დაიძრა. მოკავშირეთა ავანგარდს მეთაურობდა ბაგრატიონი. პირველ დღეებში ბაგრატიონის წარმოებული ბრძოლები ბრწყინვალე ბრძოლებით სრულდებოდა, მაგრამ ხელმძღვანელობაში იმპერატორ ალექსანდრე პირველის ჩარევის შემდეგ საქმე გაუარესდა. აუსტრილიცათან მოკავშირეთა დამარცხების შემდეგ ბაგრატიონს მოუხდა არიერგარდის ხელმძღვანელობა და ნაპოლეონის სასტიკი იერიშების თავის თავზე აღება. დღოებითი ზავის დადების შემდეგ რუსეთის არმია სამშობლოში დაბრუნდა.

1805-1807 წლების ომი დასრულდა ტილზიტში დადგებული ზავით. ამ ბრძოლებში ბაგრატიონის რაზმში თავი ისახელეს აგრეთვე ისეთმა მამაცმა მეომრებმა, როგორიც იყო არტილერისტი, პოლკოვნიკი ლევან იაშვილი და ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ივანე ფანჩულიძე. მათ უჩვენეს გმირობის უდიდესი შემართებანი.

ამ ამბების შემდეგ ბაგრატიონი პეტერბურგში დაბრუნდა დასასეგნებლად, მაგრამ დასეგნება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1808 წელს ომი დაიწყო შვეციასთან და ნაცადი სარდალი კვლავ ბრძოლის ასპარეზზე გაგზავნეს. ეს ბრძოლა იყო ფინეთისათვის, პეტერბურგის დაცვისათვის და ფინეთის ყურეში ბატონობისათვის. 1809 წელს რუსეთის არმიამ შეტევა დაიწყო.

ბაგრატიონი სამხრეთის დაჯგუფებისკენ გადაისროლეს. მიუხედავად მთავარსარდლის არასწორი გადაწყვეტილებისა, ბაგრატიონმა გაწმინდა სამხრეთ ფიხეთი და ფინეთის ყურე.

43 წლის ბაგრატიონი კარგი აღნაგობისა იყო, ბრწყინვალე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, რუსეთისა და უცხოეთის ორდენებით ყველას ხიბლავდა. განსაკუთრებით გატაცებული აღმოჩნდა იმპერატორის და- ეკატერინე პავლეს ასული. პეტრე რომ მოეცილებინათ პეტერბურგიდან 1809 წლის 1 ივნისს იგი გაგზავნეს მოლდავეთის არმიაში. ამ პერიოდს დაემთხვა ვენაში მცხოვრებ პეტრეს მეუღლის მიერ ურთიერთობის გაწყვეტა მასთან და ბრძოლებს ჩვეულმა სარდალმა ისევ ბრძოლის ველს მიაშურა.

9 აგვისტოს პრობოროფსკი გარდაიცვალა და ბაგრატიონმა დაიკავა მთავარსარდლის თანამდებობა. არმიის განლაგებისა და ბრძოლის ასპარეზის შესწავლის შემდეგ, ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ პრობორსკის გეგმით განლაგებულ არმიას



არ შეუძლია მოწინააღმდეგეს დაარტყას ერთი რომელიმე მიმართულებით. მოხუც სარდალს ბაგრატიონი ავსტრიელ ფელდმარშალს უწოდებდა, რადგან იგი მოქმედებდა ავსტრიაში გაბატონებულ საკორდონო სტრატეგით, რომლის მთავარი მიზანი იყო ბრძოლის ასპარეზზე ჯარების თანაბარი განაწილება და თავდაცვის ხაზისა, ციხესიმაგრეებისა და მნიშვნელოვანი პუნქტების გამაგრება. ასეთ ვითარებაში, ბაგრატიონის აზრით, არმია კარგავდა მანევრირებასა და ურთიერთშორის კავშირს. ბაგრატიონის პრინციპი იყო გადამწყვეტი, შეტყვით დარტყმა მოწინააღმდეგეზე და მისი განადგურება საველე ბრძოლაში.

„ჩემი მიზანია - წერდა სამხედრო მინისტრს, გამოვაციცხლო არმია და გავხადო იგი მამაცი. ტრაბახის გარეშე მოგახსენებთ, რომ უკვე მიგაღწიებიდის ერთი ათის წინააღმდეგ. უკანასკნელი კაპიკიც კი არ მენანება, - ჩემს ერთგულებს ვასმევ და ვაჭმევ უკეთესია მოგვდე, ვიდრე მათ ვაწყენიო... ღმერთმა იცის ჩემი გული და სული“.

ნაპოლეონი რუსებთან ომისათვის ემზადებოდა, შეკრიბა უდიდესი არმია, რესურსები და საკმაოდ ძლიერი მოკავშირეებიც შეიძინა. მისი საშიშროება იზრდებოდა, მაგრამ რუსეთის არმიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საბრძოლო მოქმედების გეგმა. ბაგრატიონის გეგმა ითვალისწინებდა რიგ ღონისძიებათა გატარებას,

რათა არ დაეშვათ ფრანგთა მოულოდნელი თავდასხმა, მზად ყოფილიყვნენ მოწინააღმდეგის დარტყმის შესახვედრად და ხელიდან არ გაეშვათ ინიციატიფა. ბაგრატიონის ბიოგრაფიების განცხადებით, გეგმა ცხალყოფდა მეორე არმიის მთავარსარდლის სტრატეგიულ ერუდიციას, რომელიც საშუალებას აძლევდა მას რომელ ვითარებაში გარკვეულიყო და სწორად შეეფასებინა მოახლოებული ომის თავისებურებანი.

1812 წლის 12 ივნისს საფრანგეთის 600 ათასიანმა არმიამ რუსეთის საზღვარი გადალახა ვარშავა-კიონიგსბერგის ხაზზე, მისი მარცხენა ფრთა 250 ათასი მებრძოლის რაოდენობით პირველი გადაგიდა მდინარე ნემაზე კონგოს რაიონში და დაუცველი ქალაქი დაიკავა. დაიწყო სიმძლავრითა და გაქანებით მანამდე არნახული მსოფლიო მნიშვნელობის ომი.

ნაპოლეონმა დაინახა, ბარკლაი-დე-ტოლი ბრძოლას არ იღებდა, სწრაფად იხევდა უკან და მისი დაწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ ძირითადი ძალები მეორე არმიის წინააღმდეგ გადაისროლა, რათა უკან დასახვი გზა მოექრა მისთვის, ალყაში მოექცია და გაენადგურებინა. ამ მიზნის განხორციელებისათვის მან შექმნა დიდი დაჯგუფება 130 ათასი მებრძოლის რაოდენობით, რომლის ხელმძღვანელობა თავის ერთ-ერთ საუკეთესო მარშალს - დავუს დააკალა. ასეთ ძალას უნდა გამკლავებოდა ბაგრატიონის 50 ათასიანი არმია.

დავუს და უერომმა სცადეს ფლანგებიდან გარემოცვით ბაგრატიონის განადგურება, მაგრამ იგი გაუსხლტა მათ. განრისხებულმა ნაპოლეონმა თავის ადიუტანტ ბერტიეს უბრძანა, რომ უერომისთვის ეცნობებინა: „ოპერაციის განხორციელება შეუძლებელი იყო იმაზე უარესად, როგორც იგი მას წარმართოვდა“.

ბაგრატიონი გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვდა, რასაც მეფე და ბარკლაი პირდებოდნენ. „საჭირო ბრძოლა, დასხენდა იგი, ვიდრე რუსეთს შეუძლია და ხალხი უქმნებელი დგას“.

1812 წლის 26 აგვისტოს დილით, როდესაც ნაპოლეონმა რუსეთის არმია ბრძოლისათვის განლაგებული დაინახა, თავის მებრძოლებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მეორებო! აი ის ბრძოლა, რომელსაც თქვენ ასე ელოდით“. განთიადისას რუსთა განლაგების ზურგში მზემ ამოანათა. გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებულმა ნაპოლეონმა წამოიძახა: „აი მზე აუსტრიულისიცა“. ფრანგი სარდალი არ ელოდა, რომ ბოროდინოს მზე მისი დიდების ჩასვენების დასაწყისი გახდებოდა.

დოლების ხმის გუგუნით ბაგრატიონის არმია კონტრშეტეტებაზე გადავიდა და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

1812 წლის სამამულო ომის უდიდესი მკვლევარის, აკადემიკოს ტარლეს სიტყვებით „ამ საოცარ დროს იმისათვის, ვინც თვალყურს აღენებდა თავად ბაგრატიონს, კარგად იცნობდა მის ბუნებას, ახსოვდა მთელი მისი განვლილი ცხოვრება, თუ როგორ იცხოვრა მან 47 წლამდე, აშკარა იყო, რომ ფლეშები მას დარჩენდა, ანდა მძიმედ დაჭრილს ან მკვდარს გამოიტანდნენ ბრძოლის ველიდან”.

დაძაბულ ვითარებაში ბაგრატიონი ორი დივიზიით შეტევაზე გადავიდა. მიუხედავად მტრის სიჭრბისა, შეტევა წარმატებით დაიწყო. ნაცადი სარდალი ხან ერთ ხან მეორე პოლკს ამხნევებდა, რომ უეცრად ცხენზე შეტორტმანდა. ბაგრატიონი დიდ ხანს არ იმჩნევდა დაჭრას, ბოლოს კი სისხლის დაკარგვით ცხენიდან კინაღამ გადმოვარდა, მაგრამ მიუსწრეს და ჩამოიყვანეს.

ნაპოლეონის სიტყვებით ბოროდინოს ბრძოლა იყო ყველაზე დიდი იმ 50 ბრძოლიდან, რომელიც მას ჩაუტარებია, მაგრამ ყველაზე უმნიშვნელო შედეგით.

მისი განცხადებით „ფრანგებმა დაამტკიცეს, რომ ისინი გამარჯვების დირსი არიან, რუსებმა კი უძლეველობის სახელი მოხვეჭუს”.

პეტრე ბაგრატიონმა დიდი სიმამაცით გადაიტანა სამხედრო ისტორიაში უდიდესი ბრძოლები. იგი განთქმული იყო როგორც ავანგარდული და არიერგარდული ბრძოლების ოსტატი. ბაგრატიონმა მონაწილეობა მიიღო 20 დიდ ლაშქრობაში და 150 ბრძოლაში. იგი ოთხჯერ დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არასოდეს გამოსულა, ვიღრე 1812 წელს, ბოროდინოს ველზე სასიკვდილოდ დაიჭრა და დაიღუპა.

მოშადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“
პროექტ „მთავარსარდლის“
ლიტერატურული სცენარის მიხედვით
ავტორი ლევან უმიკაშვილი

ტელე ი ტელე

ცენტრ თეატრის-პატიორი (1919-1921)

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე, დაიბადა 1861 წლის 15 თებერვალს გორის მაზრის სოფელ დასევში, მღვდლის ოჯახში. 1867 წელს ლონგინოზი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. იგი იმდენად სათნო ბუნების ადამიანი იყო, რომ მეგობრები მას სასწავლებელშივე ბერს ეძახდნენ. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1884 წელს ჩაირიცხა კიუვის სასულიერო აკადემიაში.

აკადემიაში სწავლის პერიოდში მოითხოვა მონაზვნად აღგვეცა. 1887 წლის 19 ივნისს აკადემიის რექტორმა, მონაზვნად აღგვეცა იგი და სახელად ლეონიდე უწოდა. 1888 წელს მან დაამთავრა კიუვის სასულიერო აკადემია დვთისმეტყველების მაგისტრის კანდიდატის ხარისხით და საქართველოში

დაბრუნდა. იმავე წელს ინიშნება კავკასიაში ქრისტიანობის აღმდენელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლების ინსპექტორად. ამ საზოგადოების დაფინანსებით კავკასიის მთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში, საინგილოსა და ოსეთში უამრავი სკოლა გაიხსნა. ამ სკოლების წარმატებაში დიდი წვლილი ბერმონაზონ ლეონიდესაც მიუძღვდა. იგი იხსენებდა: „პირველად მე წავაკითხე დედაენა მთის შვილებს და პირველად მე ავმდერე მშობლიურ ჰანგზე დაბერავებული ჩემი მოძმენი“.

1890 წელს მღვდელმონაზონმა ლეონიდემ საინგილოში, სოფელ კახში, დააარსა ქალთა სამრევლო-საეკლესიო სკოლა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ენისა და საეკლესიო გალობის საქმეს სასულიერო სემინარიაში, სხვადასხვა სასწავლებლებში და თბილისის საეპარქიო დედათა



კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე

სასწავლებელში.

1897 წლიდან ინიშნება დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამდღვრად. 1898 წლის 17 აპრილს მღვდელმონაზონი ლეონიდე აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში.

ამავე წლის 20 მაისს ეპისკოპოსი ლეონიდე ქართული საღვთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1900 წლის 6 მაისს დაჯილდოვდა წმინდა ანას II ხარისხის ორდენით, მოვაიანებით კი გადაიყვანეს იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრად. 1907 წლის დეკემბერში ჩატარეს შიო-მძვიმის ტაძრის წინამდღვრობა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაემხო ნიკოლოზ II-ის ხელისუფლება და ქვეყანა დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. ქართველმა მღვდელმთავრებმაც დღოულად მიიჩნიეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და დაიწყეს აქტიური მუშაობა ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის.

ეპისკოპოს ლეონიდეს მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის

ბრძოლას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1906 წელს პეტერბურგში გამართული სინოდის იმ სხდომებში, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხს იხილავდა. თავის გამოსვლაში ეპისკოპოსილენიდეაღნიშნავდა: „დღეს საქართველო განიცდის უდიდეს კრიზისს, ხალხი არ დადის ეკლესიაში, სრულიად აჰყარა პატივისცემა სამღვდელოებას, მღვდლების მოქმედებას და სწავლა-დარიგებას აღარ აქვს გავლენა მრევლზედ.“ ერთადერთი საშუალება იმისა, რომ არ მოისპოს საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში და სამღვდელოებამ მოიპოვოს კვლავინდებური ნდობა სამწყსოსი, თვლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად. 13 მარტს ეპისკოპოსმა ლეონიდე საქართველოს ეგზარქის პლატონს განუცხადა, რომ გათავისუფლებულია თანამღებობიდან და ჩამორთმეული აქვს ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობა. 14 მარტს ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით გაიმართა სამღვდელოების კრება, რომელმაც დაადგინა, რომ სიონის ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულად ჩატარებულიყო. ეპისკოპოსი ლეონიდე კი დაინიშნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი ლეონიდე არჩეულ იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 1919 წლის 19 თებერვალს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მისი აღსაყდრება. ჩაიარა საზეიმო დღეებმა და კათოლიკოს-პატრიარქი აღმოჩნდა იმ პრობლემების წინაშე, რომლებმაც თავი იჩინა დამოუკიდებელ საქართველოში.

ქართველმა მენშევიკებმა სრული უნდობლობა გამოუცხადეს ეროვნულ ეკლესიას. სკოლებში გააუქმეს საღვთო სჯულის სწავლება და ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოსაგან. ამის შესახებ უწმინდესი ლეონიდე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ეკლესიას ჩამოართვეს სასწავლებლები, ქონება, მიწები, ეკლესიებიდან გამიოტანეს ძვირფასეულობა, მას წაართვეს მოქალაქეობრივი უფლება და შეძლება, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ნუგეში ეცა მოწმუნეთათვის ყველა იმ დღესასწაულებში, რომელიც შეადგენს წმინდათაწმინდას და ისტორიულ ატრიბუტს მათი ქრისტიანული რწმენისას და იძულებულს ხდიან მათ თავისი დღგმატი და ტიპიკონი აქტების და ისიც სოციალურ ანგარიშებს

შეუფარდონ“. საქართველოს პატრიარქი ლეონიდე მკაცრად გმობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ეკლესიისადმი დამოკიდებულებას.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება თბილისში შეძოვიდა, ხოლო იმავე წლის 15 აპრილს, რევკომის დადგენილებით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა.

1921 წლის 11 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქი

შავი ჭირით გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დარჩა, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში.

მოამზადა

ეკატერინე ცირიკაშვილმა

AUSZUG AUS DEM BUCH „KRIEGSREPORTER“ VON JULIAN REICHELT

...Im August bereite ich gerade eine Reise in die USA vor, um vom Wahlkampf zu berichten, als die russische Armee in die georgische Provinz Süd-Ossetien einmarschiert. Ich suche Süd-Ossetien noch auf der Landkarte, da ist in den Nachrichten schon die Rede von einer neuen Kuba-Krise, sogar vom Dritten Weltkrieg. Das Fernsehen zeigt feuernde Raketenwerfer, die auf Lastwagen montiert sind. Soldaten, die Schützengräben ausheben, und endlose Konvois russischer Panzer, auf denen Männer mit Kalaschnikows und alten Lederkappen sitzen. Zeigte der Fernseher ein Schwarz-Weiß-Bild, könnten diese unwirklichen Szenen auch vor fünfzig, sechzig Jahren spielen. Armee gegen Armee, Artilleriegranaten, die in Wohnhäuser einschlagen, heulende Sirenen, Luftangriffe auf Städte und Zivilisten – in nur einer Nacht ist der Krieg des 20. Jahrhunderts zurückgekehrt.

Ich denke, dieses Mal ist es ganz große Ding, bei dem ich dabei sein muss. Die Geschichte, die ich nicht verpassen darf. Die Geschichte, die wichtiger ist als all die anderen. Ich sehe, dass es überall als erste Meldung in den Nachrichten kommt und vergesse alle anderen Pläne. Als mein Fotograf Andreas

Thelen und ich aufbrechen, ist der Flughafen von Tiflis schon gesperrt. Wir fliegen nach Jerewan, Armenien, und fahren bei Nacht über Serpentinestraßen durch die Berge Richtung Norden. Früh am Morgen überqueren wir die georgische Grenze. Wir sind da. Wir hören im Radio, dass die Russen auf Tiflis vorrücken. Wir sitzen im Auto, wach seit 24 Stunden, und scherzen, dass wir die Stadt vor den Russen einnehmen werden. Links der Straße sehen wir einen zerbombten Flughafen. Es ist ein gutes Gefühl, da zu sein.

In Tiflis finden wir einen Dolmetscher, ein junger, hagerer, mutiger Mann, der einen Sohn hat und Deutsch spricht. Mit ihm fahren wir weiter Richtung Norden, nach Gori, rund 80 Kilometer von Tiflis entfernt. Es ist die Geburtsstadt Josef Stalins. Aus Gori haben Fotografen in den letzten Tagen die Fotos geschickt, die wie aus einer anderen Zeit schienen. Menschen, die zwischen zerbombten Häusern umherirrten, verwirrt und hilflos. Man konnte ihnen die Taubheit ansehen, die taumelnde Orientierungslosigkeit, die von schweren Explosionen kommt. Tote unter Trümmern. Bilder von einem Bombenkrieg.

Je näher wir Gori kommen, desto häufiger sehen wir ausgebrannte georgische Panzer entlang der Straße, Öllachen, schwarzgeglühte Schrottteile, glitzernde Glassplitter. Wir sehen russische Kampfhubschrauber, die über den Bergen Raketen abfeuern, Dörfer, aus denen dunkler Rauch aufsteigt. Es sind kaum Autos auf der Straße. Als wir gerade am Ortsschild von Gori vorbeifahren, ruft die Redaktion an. Vor knapp zwei Stunden sei in der Stadt ein holländischer Journalist von einer Granate getötet worden, wir sollen vorsichtig sein. Für die Zerstörung, die wir in Gori vorfinden, gibt es nur ein Wort: krank. Bomben haben eine komplette Siedlung vernichtet. Von den Plattenbauten stehen nur noch schwarze Gerippe. Vor den Gerippen parken ausgebrannte Autos. Vor den Autos liegt eine gelbe, blutverkrustete Decke. Die einzigen Geräusche stammen von einer geplatzten Wasserleitung, aus der es in eine immer größer werdende Pfütze hineinplätschert, und von den Gardinen, die in leeren Fensterhöhlen der wenigen nicht ausgebrannten Häuser flattern. Ich versuche, eine alte Frau anzusprechen, die in den Trümmern nach irgendetwas sucht, aber sie sagt nur: „Niemand hat uns geholfen. Und jetzt kommen Sie und fragen, wie es uns



geht? Hauen Sie einfach ab und lassen Sie uns in Ruhe sterben.“

Zwischen Kratern, Betonbrocken und verrenkten Stahlstreben liegen die Überbleibsel des Alltags. Ein verkohlter Brief. Ein angesengtes Sofakissen. Ein Bilderrahmen. Eine Puppe, der die Explosion die Beine weggerissen hat. Die Puppe lächelt starr vor sich hin. „Was können wir dafür, wenn sich ein paar mächtige Männer streiten?“, ruft uns ein alter Mann zu. „Wir wissen nicht mal, warum sie sich streiten. Aber wir müssen den Preis bezahlen.“

Ich stehe unter einer alten Eiche. Die Baumkrone ist von einer Granate zerfleddert, die restlichen Zweige sind mit Staub bedeckt. Manchmal frage ich mich, was die Bäume über die Menschen denken müssen.

Abends im Hotel in Tiflis sitzen Korrespondenten aus aller Welt in der Bar und diskutieren über die Kriegsgründe. Die einen meinen, es gehe wie immer ums Öl und um Pipelines. Andere sagen, Putin habe der NATO nur seine Macht zeigen wollen. Wieder anderen glauben, die CIA stecke dahinter. Ein französischer Kollege hält Georgiens Präsident Michail Saakaschwili für den neuen Hitler und ein paar alte Russlandexperten haben schon seit Jahren vor einer Eskalation im Kaukasus gewarnt. Niemand weiß zu diesem Zeitpunkt (und bis heute nicht), wie dieser Krieg wirklich angefangen hat, wer die Schuld trägt, wie viele Menschen gestorben sind. Man weiß nicht mal, wo sie begraben liegen. Viele Familien haben ihre Toten hastig in ihren Gärten oder auf Feldern beerdigt, bevor sie vor den Kämpfen geflüchtet sind. Beide Seiten, Russland und Georgien, verstecken sich hinter die Erklärungen darüber, was sie alles getan haben, um diesen Krieg zu verhindern, wie ihnen der Kampf aufgezwungen worden sei. Aber dafür, dass anscheinend niemand Krieg wollte, sind nur ziemlich viele Menschen tot, vertrieben oder obdachlos.

Fast drei Wochen verbringen wir in der Region. An einem Nachmittag rollt eine Kolonne von über hundert russischen Fahrzeugen –

Kampfpanzer, Truppentransporter, Lastwagen – mit flatternden Fahnen auf Tiflis zu. Während das Radio panische Meldungen über einen bevorstehenden Angriff auf die Hauptstadt ausstrahlt, fahren wir mit unserem Auto an der Spitze der Kolonne, wenige Meter vor den Russen. Unser Dolmetscher hat einen alten Lieferwagen. Mit einem befreundeten Kameramann sitze ich hinten im Laderaum. Die Schiebetür ist geöffnet. Wir filmen die Panzer, die auf der bebenden Straße hinter uns fahren, rauchen im Fahrtwind und tauschen ab und zu ratlose Blicke, weil diese Szenen so surreal sind. Wir überholen die Menschen, die auf Pferdewagen flüchten. Ich sehe Familien hinten zwischen Koffern und Möbeln kauern. Ein Kind

Es ist wie ein Leberhaken, der der Zivilisation die Luft nimmt. Hinter den russischen Linien werden wir in den nächsten Tagen bewaffnete, betrunken Milizionäre sehen, Banditen, die von Norden kommen, bärtige Männer aus Tschetschenien, die wahllos um sich schießen – auch auf Journalisten – und sich nehmen, was sie wollen. Sie plündern und brandschatzen und die russische Armee lässt sich die Milizen ungestört durch die Dörfer ziehen. Es sieht so aus, als würden diese Banden bewusst als Waffe gegen Zivilisten eingesetzt. Es herrscht Anarchie.

Während Politiker mahnen, appellieren, letztmalig fordern, von

Wenn man die Augen zusammenkneift, sieht man eine graue, ebene Fläche. Ganze Viertel sind eingeebnet. Die wenigen Bäume, die noch da sind, stehen als schwarze Skelette in dieser Wüste. Es weht ein lauer, staubiger Wind.

drückt eine Puppe an sich, eine Puppe, wie sie auch in den Trümmern von Gori lag. Wir fahren vorbei an qualmenden Ladas, in denen sich acht, zehn Menschen drängen. Wir sehen ein altes Ehepaar, das zu Fuß auf der Flucht ist mit nichts als zwei Plastiktüten und einem Hund. Mit gebrechlichen Schritten gehen sie am Straßenrand.

Dieser Krieg ist ein anders als die Kriege in Afghanistan oder im Irak, die sich seit Jahren hinziehen, mit besseren oder schlechteren Tagen, mit Erfolgs- und Katastrophenmeldungen. Dieser Krieg ist frisch. Seine Gewalt und seine Zerstörungskraft breiten sich wie eine Seuche innerhalb weniger Stunden aus. Man kann zusehen, wie sich Dörfer in kürzesten Zeit entleeren, wie Menschen ihr Leben ausgeben und alles zurücklassen, wie sich schon ein paar Stunden später bei Einbruch der Dunkelheit in den Böschungen hocken, entrückt und entgeistert, wie sie auf dem schmutzigen Boden schlafen und alle Würde verlieren. Wie ungläublich sie aussehen, weil niemand ihnen hilft.

Waffenstillstandsabkommen von Sechs-Punkte-Plänen sprechen, sehen wir Kinder, die von Wunden übersät sind. Wir sehen eine Mutter, die weinend zusammenbricht, als sie das Foto ihres toten Sohnes in der Zeitung entdeckt. Ein junger Mann, der bei einem Bombenangriff auf Gori seine Bruder verloren hat, erzählt uns: „Ich habe ihn in den Trümmern gefunden, aufgehoben und zu meinem Auto getragen. Ich habe ihn auf den Beifahrersitz gesetzt und bin mit ihm zum Krankenhaus gerast. Aber sie konnten ihm nicht mehr helfen. Sie haben ihn in eine Kammer mit vielen anderen Toten gelegt, mit Körpern, die keine Köpfe mehr hatten. Ich wollte nicht, dass er da bleibt und habe ihn wieder mitgenommen. Aber ich hatte auch Angst, dass wieder ein Angriff kommt und eine Bombe ihn völlig zerreißt. Ich habe ihm also ein frisches Hemd von mir angezogen und ihn am nächsten Morgen begraben, mit meinen eigenen Händen.“

Ein Mann, der seinen toten Bruder unter der

Erde in Sicherheit bringt, vor einem tobenden Krieg, der keiner aufzuhalten vermag, der keiner versteht, keiner angefangen haben will und angeblich auch niemand gewollt hat – so sieht die Hilflosigkeit der Welt in diesen Tagen aus.

Bei allem, was wir sehen, fällt es mir schwer, nicht wütend zu werden. Man soll sich als Journalist ein Bild von den Dingen machen, versuchen, Zusammenhänge nachzuvollziehen und zu erklären. Aber auf die Frage, warum Medwedew, Putin und Saakaschwili diesen Krieg führen, fällt mir nur eine schlüssige Antwort ein: Weil sie es können.

Auf einer Rüstungsmesse in Abu Dhabi, in einer kühlen, klimatisierten Messehalle, habe ich mich mal mit einem Raketeningenieur unterhalten. Wir saßen an einem der Stände, es gab Häppchen. Über unseren Köpfen hing eine aufgeschnittene Rakete, groß genug, um ein Hochhaus zu zerstören. Ich wollte mit dem Ingenieur über Krieg sprechen, er über Physik. „Sie fragen mich nach Menschen“, sagte er. „Aber darum geht es in meinem Beruf doch gar nicht. Für mich ist nur interessant, wie ich den Raum zwischen zwei Punkten überbrücke. Die Rakete muss von Punkt 1 zu Punkt 2 fliegen.“ So kommt mir dieser Krieg vor. Wie ein Experiment.

Über eine Woche lassen die Russen kaum Journalisten in die umkämpfte Provinz Süd-

Ossetien. Zwar sagen sie, die Georgier hätten dort – besonders in der Hauptstadt Tskhinvali – furchtbare Kriegsverbrechen begangen, Babys mit Panzer zermalmt, Alte in ihren Häusern massakriert, flüchtende Kinder erschossen. Aber alle Kollegen, die diesen Geschichten nachgehen wollen, werden an Checkpoints aufgehalten oder von Milizen verjagt. Drei Journalisten werden auf dem Weg nach Tskhinvali sogar erschossen. Wir kommen bis Gori und nicht weiter. Es ist offensichtlich, dass sie uns nicht da haben wollen.

Als wir zehn Tage nach Beginn des Krieges im Kaukasus doch noch nach Tskhinvali kommen, finden wir ein Ausmaß an Zerstörung vor, wie ich es mir nicht habe vorstellen können. Große Teile der Stadt sind bis auf die Grundmauer weggebombt. Wenn man die Augen zusammenkneift, sieht man eine graue, ebene Fläche. Ganze Viertel sind eingeebnet. Die wenigen Bäume, die noch da sind, stehen als schwarze Skelette in dieser Wüste. Es weht ein lauer, staubiger Wind.

„Warum berichtet Ihr immer nur über die georgische Seite?“, fragt mich ein russischer Funktionär, der uns „zu unserer eigenen Sicherheit“ durch die Stadt begleitet. „Weil die meisten Journalisten, die während des Krieges nach Tskhinvali wollten, entweder beschossen, umgebracht oder ausgeraubt worden sind“, sage ich. Ich habe keine Lust mehr freundlich oder diplomatisch zu sein.

Er tut so, als hätte er meine Antwort nicht gehört.

Die Russen sagen, die Georgier hätten die Stadt, die zu Georgien gehört, zerstört, um Separatisten zu treffen. Die Georgier sagen, die Russen hätten die Stadt bombardiert, um georgische Truppen zu vertreiben. Die Wahrheit wird irgendwo dazwischen liegen. Auch hier in Tskhinvali kann niemand genau sagen, wie viele Tote es gegeben hat. 20 000 Menschen haben hier gelebt. Nun ist kaum noch jemand da. Das ist also unser 21. Jahrhundert, denke ich. Eine Stadt und ihre Menschen können noch immer einfach verschwinden, ohne dass jemand weiß, wohin...



ომიდან ობი წლის შემდეგ

დევნილები, დევნილობის ოფიციალური სტატუსის გარეშე გორის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან – ასეთი დღეს დაახლოებით, 50 ოჯახია, რომელიც 2008 წლის ომის შედეგად იძულებული გახდა სახლი მიეტოვებინა. სახელმწიფოს ამ ოჯახებისა და მათი წევრების მიმართ პოზიცია ომიდან ორი წლის შემდეგაც არ დაუფიქსირებდა. ამ ადამიანების საკითხი განსაკუთრებულია. ისინი არ არიან დევნილები ცხინვალის რაიონიდან, ყორნისის თემიდან, დიდი ან პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობის სოფლებიდან. ომის შედეგად მათ გორის მუნიციპალიტეტის სოფლები დატოვეს. დღეს ეს რამდენიმე სოფელი უკონტროლო ზონაა. ოფიციალურად, ისინი ოკუპირებულიც არაა, თუმცა ქართული პოლიცია მათ ვერ აკონტროლებს. იქ არც რუსული ჯარი დგას. სოფელში მხოლოდ კრიმინალური დაჯაფუფები დათარებობენ, რის გამოც მშვიდობიანი მოსახლეობა იქ ცხოვრებას ვერ ბედივს. ზარდიანთკარი და გუგუტიანთკარი ასეთი ტიპის სოფლებს მიეკუთვნება. მათზე პრეტენზიას, ოფიციალურად, არც ოსური შხარე აცხადებს, რადგან ეს სოფლები ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ადამიინისტრაციული საზღვრის მიღმაა დარჩენილი, თუმცა იქ ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება.

ზარდიანთკარის მკვიდრი მიხეილ გაბლიშვილი ამბობს, რომ მისი სახლი რამდენიმე თვის წინ გადაწვეს. ომიდან თითქმის წელიწად ნახევრის შემდეგ. ამჟამად იგი, ოჯახთან ერთად გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ცხოვრობს. მისი თვიური შემოსავალი დაახლოებით, 100 ლარია. „მე თვითონაც არ ვიცი თვით როგორ გამაქვს, როგორ ვცხოვრობ,“ – ამბობს მიხეილ გაბლიშვილი. მას და მის მდგომარეობაში მყოფ ყველა იძულებით გადაადგილებულს ყველანაირი დახმარება აქვს მოხსნილი. რამდენიმე თვის წინ ისინი ფეხილსა და ბრინჯს მაინც იღებდნენ ყოველთვიურად, გაზაფხულზე საკებით დახმარების პროექტებიც დაასრულა მსოფლიო სასურსათო პროგრამამ გორში. ამჟამად საბავშვო ბაღებში ჩასახლებული დევნილები მხოლოდ სოციალურ შედავას იღებენ, 28 ლარს თვეში.

„ამ გაზაფხულს, 14 მარტს დაწვეს ჩემი სახლი, ჩვენი პოლიცია იმ ადგილს ვერ აკონტროლებს, რა ვქნათ, არ ვიცით. მეუღლითა და ორი ბავშვით საბავშვო ბაღში ვცხოვრობთ. სოციალურ დახმარებას ვიღებთ, 24 ლარია ბავშვებზე და 30 ლარი ჩემშე, როგორც ოჯახის უფროსზე. სხვა შემოსავალი არ გაგაჩნია.“

არც სამუშაო გვაქვს. ჰაერზე ვართ ჩამოკიდული. როგორ უნდა ვაცხოვრო ოჯახი? – კითხულობს მიხეილ გაბლიშვილი.

ზარდიანთკარიდან დევნილი გია გორგიშელი ამბობს, რომ ისინი დაკარგული სახლებისთვის კომპენსაციას ითხოვენ, ასევე საცხოვრებლით უზრუნველყოფაც ჭირდებათ. ამ მოთხოვნებით ხელისუფლებას არაერთხელ მიმართეს, თუმცა მათი პასუხი მხოლოდ მოცდას ითვალისწინებს და სხვას არაფერს. „გვეუბნებიან, დაგქმარებითო, მაგრამ როდის. ადრე შაქარს, ფეხილს, ზეთს გვირივებდნენ. ახლა საკვების მხრივ არანაირ დახმარებას არ ვიღებთ. ჩვენ გორის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ვართ დევნილები, რაც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებში არ შედის. ამიტომაა ჩვენი საკითხი გაურკვეველი. ხელისუფლებას ვერ გაურკვევია, დევნილებად ჩაგვთვალოს თუ არა. ამბობენ, თქვენ რომ ფულადი კომპენსაცია მოგცეთ, მაშინ გამოდის, რომ იმ სოფლების დაკარგვას უნდა მოვწეროთ ხელით. სია შეგვადგენინეს, ჩაგვატანინეს სამინისტროში, რომ გაეცოთ რამდენი თვალი ვართ ასეთ მდგომარეობაში, გვითხრეს, დაგქმარებითო, მაგრამ ვერ არაფერი ჩანს, – ამბობს გია გორგიშელი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი აცხადებს, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დევნილთა გასაჭირის შესახებ ინფორმაციას ფლობს და ამბობს, რომ მათი დახმარების საკითხი ცენტრალური ხელიუსლფების წინაშე უკვე დაყნებულია. დავით ხმიადაშვილი ამბობს, რომ ისინი პასუხს ელიან. ამ ეტაპზე რას მოიცავს „დახმარება“, იქნება ეს თანხით თუ საცხოვრებლით უზრუნველყოფა თუ სხვა, გამგებელმაც არ იცის. თავადაც მოცდისა და გაურკვევლიბის რეჟიმშია. პასუხი ცენტრიდან არ არის. ყველამ მხოლოდ და მხოლოდ ის იცის, რომ ეს „პოლიტიკური საკითხია“. ეს ორი სიტყვა კი ერთგარი საიდუმლო მინიშნება, როდესაც მათ ახსენებ, ყველასთვის ყველაფერი ისეთი ნათელია, რომ ამის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

როელ მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებსაც ეგრეთ წოდებულ კოტეჯებში. ასეთი დასახლებები მხოლოდ გორთან სამია. სახელდახელოდ აშენებული კოტეჯები მცირე ხანში საცხოვრებლად გამოუსაღევრად იქცა. კედლები დაობდა, იატაკის ფიცრები გაიწია და იქიდან ზამთრში სისველება და სიცივემ, ზაფხულში კი ათასი

ჯურის სარეველამ და ჭია-ღუამ იწყო ამოსვლა. დევნილები კოტეჯების შეკეთებას ითხოვდნენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ კომპანიები, რომლებსაც ასეთი სახის გალდებულება პქნდათ ნაკისრი, გაუზინარდნენ. პოსტ-ფაქტუმ გაირკვა, რომ ხელშეკრულების თანახმად, ისინი ერთი წლის მანძილზე იყვნენ გალდებულნი დაზიანებები შეეკეთებინათ. ეს ვადა კი დევნილებმა გაუშვეს კომპანიების დევნისა ამ საკითხის შესწავლის პროცესში.

ამჟამად დევნილების წინაშე პირველი რიგის პრობლემად საკვებით უზრუნველყოფის საკითხი დგას. მხოლოდ სოციალური დახმარების იმედად მყოფ ოჯახებს ძალიან უჭირთ, რადგან 100 ლარით თავის გატანა თვიდან თვემდე შეუძლებელია.

აქევა მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოებით უზუნველყოფის გადაუკრელი დილემაც-ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უფასოდ სახელმძღვანელოები მხოლოდ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახის წარმომადგენლებს დაურიდგათ. კანონის თანახმად კი საქართველოში ერთდროულად დევნილიც და სოციალურად დაუცველიც ვერ იქნები. ის, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა ნუსხაში მოხვდება დევნილის სტატუსს ავტომატურად დაკარგავს. ქალბატონი მარინა მაისურაძე გორში ვერხვების დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს სამ შვილთან ერთად, რომელთაგან ორი სკოლის მოსწავლეა. „ჩვენ არ ვიმუშოვებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მაგრამ დევნილები ვართ. ძლიერ-ძლიერობით ვახერხებთ საკვების შეძენას, ისიც იმის ხარჯზე, რომ ჩემს შვილს სამსახური აქვს და ხელფასს იღებს. წელს ვერ მოვახერხე სახელმძღვანელოების შეძენა ჩემი ბავშვებისთვის, ახლაც წიგნების გარეშე დადიან სკოლაში,“ – ამბობს მარინა მაისურაძე.

ურთულეს გარემოში უწევთ ცხოვრება ადამიანებს ცხინვალისპირა სოფლებში. ბევრი მათგანის სახლი ჯერაც ომისგან მიღებულ კვალს ატარებს. ნატალია გოგიშვილი 80 წელს მიტნებული ქალბატონია. მისი შვილი ომის დროს დაიღუპა. მათი სახლი ომის კვალს დღესაც მკაფიოდ ატარებს. ისევ ამოსაშენებელია ჭურვების აფეთქების შედეგად გახვრეტილი კედლები, საიდანაც შემოვარდნილმა ნამსხვერებმა ამ სახლის პატრონი იმსხვერპლა. ქალბატონი ნატალია ტირილით ვიყვაება როგორ წავიდა სარდაფში დასამალად დაბომბების დროს თავად, უკან დაბრუნებულს კი შვილი გარდაცვლილი დახვდა. ხელისუფლება მათ ოჯახს მეტალოპლასტმასის კარ-ფარჯრითა და ნის მასალით დაეხმარა, ასევე სახურავი გადაუფარა, თუმცა კედლები იმდენად ამორტიზირებულია, რომ ოჯახის წევრები ყოველ დღეს სახლის თავზე ჩამონგრევის შიშით იმინებენ.



ამოსაშენებელია დარჩენილი ასევე ჩასმული ფანჯრის ირგვლივ ადგილები, რომელთა გარშემო უშეველებელი დარებია ღიად დატოვილი. მისი რძალი, მანანა გოგიშვილი ამბობს: „გამგეობაში მისვლა უკვე ძალიან მერიდება. რამდენჯერ ვარ იქ სათხოვარით მისული, აღარც მახსოვს, მეუბნებიან, ხის მასალა რომ მოგეცით, ის გაყიდე და რაც გინდა, იმ ფულით თავად შეიძინე“.

ქალბატონი, რომელიც ზემო ნიქოზში შეგვხვდა და რომელიც მარტო ცხოვრობს, გავაჩვენებს, რომ მის სახლს ფანჯრებზე მინების ნაცვლად პოლიეთოლენის პარკები აქვს. მან ორი ზამთარი ასეთ სახლში გაატარა. ამის მიუხედავად, სახლისა და გვარის გამხელისგან თავს იკავებს, შიშობს, რომ უურნალისტთან საუბარს საჩივრად ჩაუთვლიან და კუთხიოლ დახმარებას ვეღარ მიიღებს ხელისუფლებისგან.

ცხინვალისპირა სოფლის მოსახლეობაში ზამთრის მოახლოებასთან ერთად, შიში მატულობს. არ იციან, ექნებათ თუ არა საკმარისი საკვები. ამბობენ, რომ უამრავი წერილი აქვთ, რითაც ამ პრობლემის მოგვარების მიზნით მიმართეს ხელისუფლებას, იქიდან მიღებული პასუხებით კი მხოლოდ იმის გარემოება შეიძლება, რომ ისინი სხვა უწყებაზე არიან გადამისამართებულები და ასეა დაუსრულებლად.

წყლის პრობლემის მოგვარების მიზნით, ხელისუფლებამ ომის შემდეგ ნიქოზში კაშხალის მშენებლობა წამოიწყო. ამ დრომდე ზემო და ქვემო ნიქოზში, ზემო და ქვემო ხვითში და კიდევ ბევრ ცხინვალისპირა სოფელში სწორედ ამ საქმის ბოლომდე მიუყვანლობის გამო მოსახლეობა შიშილის ზღვარზეა. უკვირთ, რა გაუხდა ამ ჩვენს ხელისუფლებას თრი მილიონი ჩვენთვის წყლის გაკეთებისთვის, როცა ამდენ თანხას ერთ მომღერალს უხდიან კონცერტის გამართვისთვის, ნუოუ ჩვენი შიშილი ურჩვენიათ, ვიდრე ფულის გადახდაო?“

ნინო დაღაქიშვილი

აფხაზთა გულის სიმებს შრომილად უნდა შევეხოთ!

14 თვლის ნოდარ დუმბაძე 86 წლის გახდებოდა. მისი წერილი, რომელსაც ჩვენი უურნალი გთავაზობთ, დიდი ტკიფილითა და სიყვარულითა გაჯერებული და დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. დღეს ხომ, აფხაზებსა და ქართველებს შორის ერთ დროს სიყვარულით ნაშენები ხიდი ჩანგრეულია...

ამას წინათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“ წავიკითხე. ჩემი ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა. ლექსმა ჯერ სიხარულით ამავსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს - შური. დიახ, კეთილი შურით ვწერ ამ წერილს.

- დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა გამოართვა კაცს სათქმელი სიტყვა პირიდან?!
 „ჩემი მორდუ აფხაზეთში
 იზრდებოდა თარბებთან,
 ბადეს შლიდა და შვილდისრით
 ტყეში ნადირს არბევდა...
 ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები
 ჩაუქად და რაინდად,
 ბეჭებ თრბი შეუფრინეს
 ურაიდა-რაიდა.“

ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარ?! ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა ქუჩაში. ასფალტზე მუხლგადაყვლეფილს იოდს როგორ მასხამდა შეწუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ მითაოუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ მაწენარებდა - გაჩუმდი, გაჟაცის ტირილი ვინ გაიგონაო. რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის, ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და დეიდაჩემის, მაროს საყვედურიანი ხმა მესმის: ბიჭო, სულ სარა ბარაზია ბზბოიტი, როდემდე უნდა იძახო, სხვა რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად, ქმრის ხათრით ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხოვბა დაწერა და გამოაქვენა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს.

„ო, აფხაზეთო,
 ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო,



ამორძალი ხარ მერდმოჭრილი უსაქართველოდ. მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები, ლოცვით, მაღლობით, აღსრულებით მითრთის ტუჩები...“ მეგდარი მიმიტანეს სოხუმის მეორე საავადმყოფოში. თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომები, რუსი, აფხაზი, ქართველი - ყველა ერთად მაღდას თავზე. არ მეგონა, სიკედილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო. ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს ვხედავ... ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპბების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს ვარჩევ... თბილისიდან გადმოცვენილ ექიმებს ვხედავ, ნათესავებს ვხედავ, სისხლსა და ხორცს ვხედავ ჩემსას, ვიცი, ამათი ბახალა ვარ და ამათ უნდა მიტირონ, მაგრამ ამათ რაღა უნდათ, უზარმაზარ ამრასავით რომ მაღდანან თავზე და მათბობენ?! ცოტა რომ მოვიკეთე, მოწყალების დები მიამბობდნენ რიგრიგობით:

- რომ მითხუეს, ნოდარ დუმბაძეაო, სულ დამეკარგა ვენა, ვერაფრით ვერ მივაგენი და ნემსი ვერ გაგიკეთეთ!

- რომ მითხუეს, ნოდარ დუმბაძეაო, იმ წუთში ვიპოვე ვენა და გაგიკეთეთ ნემსი, თორემ მაგას რა

იპოვიდა, სულ არ გქონდათ წნევა!

ამ რამდენიმე წლის წინათ გუდაუთაში ერთი კაცი ამიხირდა „ბენზოკალონკასთან“, გინდა თუ არა ურიგოდ უნდა გამიშვაო.

- რატომ? - ვეკითხები

- იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურს,

- ვატყობ, ნასგამია, აშკარად შარჩევა და ჩეუბი უნდა, თან ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა უზის, ანგელოზი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, არ წაექჩუბე, ურიგოდ გავუშვი...

მოსკოვში ვარ, რესტორანში ესხედგართ მე და ერთი იქაური ჩემი ნაცნობი. ოფიციანტმა შამპანური და შოკოლადი მოიტანა.

- ეს მოგართვეს! - მეუბნება.

- ვინ? - ვეკითხები.

- ვინაობა არ უთქვამს, აი, იმ ახალგაზრდამ! - გამახედა როგორიანტმა. რესტორნის კართან ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი დავლანდე. ვხედავ, მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის. მეღიმება.

- ვინ იყო? - მეკითხება თანამოსაუბრე.

- ჩემი აფხაზი მეგობრის ვაჟი! - ვუპასუხე.

- მერე რატომ თვითონ არ მოვიდა? - უკვირს ჩემს მეინახეს. ახლა ამას როგორ ავუხსნა, რატომ არ მოვიდა აფხაზურ ოჯახში აღზრდილი ვაჟკაცი მამამისის ტოლ კაცთან, რატომ არ მომიჯდა გვერდით, რატომ არ გადადო ფქნი ფქნები, რატომ გამომიცხადა ასე შორიდან სიყვარული და უხმოდ რატომ წვიდა!?

- ალბათ, ექვერებოდა! - ვუთხარი როყიოდ. კიდევ ორი ოჩამჩირელი მოსწავლე გოგონა მაგონდება: ერთი - აფხაზი, მეორე - ქართველი. სანატორიუმში მინახულეს ავადმყოფი, თვითანთი ბაღის ფორთოხალი და ლიმონი მომიტანეს თანაკლასელების სახელით. ვიდრე ჩემთან იდგნენ, ძალიან ყოჩაღად ისხდნენ, მაგრამ თვალები ცრემლით პქონდათ სავსე. რომ წავიდნენ, ავინიდან გადავხედე. ამათ მხრებზე მხოლოდ ანგელოზები ესხდნენ და თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, ჩემი ნახვით დაზაფრულებს, ალბათ, იმედი გადაუწყდათ, - ამას რა გადაარჩენსო?!

- გადავრჩი, ჩემო ძვირფასო გოგონებო, და თუ დამიჯერებთ, ის თქვენი მოტანილი ლიმონი და ფორთოხალი იმ ყველა ამერიკულ და გერმანულ წამალზე უფრო მომიხდა. მაღლობელი ვარ, თქვენ შემოგვლოთ ჩემი სიცოცხლე.

სულ ახლახან ერთ ჩემს ისტორიკოს მეგობარს ვთხოვე, ჩვენი ისტორიული წარსულიდან აფხაზთა და ქართველთა ძმობის რაიმე ლამაზი ამბავი გაიხსენე-მეთქი. დიდხანს იფიქრა, მერე უარყოფის ნიშნად თვი გაიქნია.

- რა იყო? - ვკითხე გაკვირვებულმა.

- არმმობის ამბავი ვერ გავიხსენე და ის როგორდა გავიხსენო?! - ასე მიპასუხა.

ან ბრძენი კაცის მოგონილი სიცრუეა, ან მართლაც ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ასე უნდა იცოდნენ...

და უნდა იცოდნენ ჩვენგან.

მე სულ მუდამ მახსოვს აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიახელისა და სხვათა შემდეგ კაცი ორგორი სიფრთხილით უნდა შექნოს აფხაზთა გულის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ ძმებსაც უნდა ახსოვდეთ, ქართველთა გულის სიმებს რომ შექებიან ხოლმე.

მიხარია, შოთა ნიშნიანიძე ვეზომ ლამაზად რომ შექო ჩვენი გულების საერთო სიმებს. მე რომ ახლა ამ წერილს ვწერ, უფრო თავისუფლად და ლადად ვგრძნობ თავს, რადგან მწერალთა კავშირში აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარე ვარ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აფხაზეთიდან გახლავართ არჩეული, აფხაზეთში მოვკვდი და დავიბადე ხელმეორედ, ლენინური პრემია რომ მივიღე, ათასი დეპუტატი მომიგიდა და აქედან ნახევარზე მეტი აფხაზეთიდან იყო. სხვა რომ არაფერი, სამაღლობელი მეკუთვნის და ვამბობ კიდევაც. და ასეც რომ არ იყოს, სულაც შავი ზღვის პირას, აფხაზეთში მიდგას ოდა.

„ჩანს ოდაზე კოლხთა დერბი,

ღერბი სიმინდ-ჯიქურის,

და აფხაზურ ცხენის ნალი

ავგაროზად მიკრული“.

შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა რომ ჩავათვე, გულში უსაშველო სითბო ჩამეღვარა, ავდექი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მოგძებნე ლექსიკონში გულის განმარტება.

გული - უმთავრესი ნაწილი ცხოველთა შინაგანი აგებულებისა, რომლისაგანაც მოიქცევის სისხლი ყოველთავე ძარღვთა შინა, - ასე წერია ლექსიკონში.

აუ, რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს.

ფინანსები



სევსურეთის ლეგენდა და სინამდვილე

საქართველოს მთიანეთი, ფშავი და ხევსურეთი დღეს მიტოვებული და დაცარიელებულია. ულამაზეს მთებს შორის დღეს ზღაპრები და ლეგენდები უფრო მეტად ცოცხლობენ, ვიდრე ადამიანები. ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი გზები, ზეგების საშიშროება, მკაცრი ზამთარი და სკოლების არარსებობა საქართველოში ალპურ ზონაში ცხოვრების მოტივაციას კლავს.

პირიქითა ხევსურეთში რომ მოხვდეთ, იქ, სადაც საუკუნეების მანძილზე მთიელი ქართველები საქართველოს საზღვარს იცავდნენ, ფშავი უნდა გაიაროთ. ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლი და მუზეუმი დაგხვდებათ. ვაჟასეულ სახლში, ბუხრის თავზე ერთი ფოტოა დაცული, რომელზეც ვაჟას ოჯახია გამოსახული. ფოტო კომუნისტების დროს დაამუშავეს და იქიდან ვაჟას შვილის, ლევანის გამოსახულება „გააქრეს“, მის ადგილას ფარია ჩახატული. ლევანი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო და საქართველოს ანექსიის წინააღმდეგ მასთან ერთად იბრძოდა. 1924 წელს იგი საბჭოთა მთავრობამ დახვრიტა. ქართველმა მწერლებმა, რომლებიც ფილიპე მახარაძესთან

ვაჟას შვილის შეწყალების თხოვნით მივიღნენ, მისგან ისტორიული ფრაზა მოისმინეს, სამშობლოს დალატის გამო, ვაჟას შვილის კი არა, ვაჟას დახვრეტაც რომ იყოს საჭირო, მასაც დაგხვრეტდითო.

ვაჟას სახელობის მუზეუმი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბალანსზე იმყოფება და ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ იფიქრებთ, ამ ადამიანს ცხოვრება ხომ უმბიმეს პირბებში უწევდა და არც სიკვდილის შემდეგ ჰქონია ბედიო. მუზეუმში ჭერიდან წვიმა ჩამოდის და დარბაზებში ოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე წყალი დგება. მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა, როდესაც ვაჟაობაზე სტუმრები ჩამოდიან, დატბორილ დარბაზებს ვმალავთო.

დათვის ჯვრის უღელტეხილის შემდეგ, რომელიც 2667 მეტრზეა ზღვის დონიდან, პირიქითა ხევსურეთი იწყება. აქ მოხვედრილი ადამიანისთვის ძველი ქართული ზღაპრებისა და ლეგენდების ნამდვილობასთან დაკავშირებით ყველა ეჭვი ქრება. ხვდები, რომ ლევების ქორწილი აქ რეალურად იქნებოდა და იახსარი მათთან მართლაც იბრძოლებდა.



არდოტის ხევისბერი ამბობს, რომ მას მთელი ხეობა როგორც ჯამრბულ პირველს, ასე იცნობს. მას ოჯახი არ ჰყავს, რადგან ხევისბერს ადათი ოჯახის ყოლის უფლებას არ აძლევს. იგი ხეობას არც ზამთარში ტოვებს და არც ზაფხულში. ხატობისას კი ყოველ წელს ყმებს ელის, რომლებიც ხატს დასალოცად და წყალობის სათხოვნელად აკითხავენ.

მიხეილ ჭინჭარაული ექიმია, შატილში ცხოვრობს, „აქ დოხტურს მექახიან,“ – ამბობს იგი და მთიელებისთვის ძირითად პრობლემაზე საუბრობს, რაც ტრანსპორტსა და გზას ქცება. შატილამდე საქალაქთაშორისო ტრანსპორტი

კვირაში ერთხელ, ისიც მშრალი გზის არსებობის შემთხვევაში მიღის. ხევისბერიცა და დოხტურიც პრეზიდენტ სააკაშვილთან დანაბარებს გვატანენ, გზების მოწესრიგების თხოვნით.

ვაჟასეული შატილი, სადაც ალუდა ქეთელაური ცხოვრობდა, დღეს დაცარიელებულია. ულამაზეს სოფელს, არწივის ბუდეს რომ ამსგავსებდნენ დღეს მხოლოდ ტურისტები აკითხავენ. გადმოცემის თანახმად, შატილში ყოველი სახლი ერთმანეთთან ძელის დასაკიდი კიბით ყოფილა დაკავშირებული, რომელთა მეშვეობით, მტრის შემოსევის დროს, სოფლის შემორბენა მიწაზე ფეხის დაუდგმელად იყო შესაძლებელი.

შატილიდან რამდენიმე კილომეტრს თუ გაივლით, მუცოს ნახავთ, საოცრებას, აბსოლუტურად უნიკალური არქიტექტურული წყობით. დღეს მუცოს ციხე-სახლებიც ცარიელია, თითქოს უდუღაბოდ, ფიქლით ნაშენი კოშკები სიამაყის შეგრძნებას იმ ადამიანების გულებში კი ბალებს, ვისაც ისინი არ აუშენებია, არამედ მხოლოდ უნახავს. აქ ყველაფრის სულს გრძნობ, მთების, მდინარეების, ყვავილების და ყველა მთიელი, ვინც დღეს იქაა, კვლავაც კაფიობს.

ნინო დალაქთაშვილი

**ჩვენი უშროები აზრების უშროებისთა ქსელის გაფართოვებას
და ელის ყველა**

**დაინტერესებული პირის გამოსმაურებას საზოგადოებრივ სატყისებზე
უშროების**

თანამშრომელების კუთხით.

დაგვიცავილი:

qartuli@satvistomo.de

കേരള പ്രഭാസ ലൈംഗ-തലവിഹാരം

„...ჩემს ბავშვობაში ტელევიზიით საოპერო გადაცემები უფრო ხშირად იყო. ლამარა ჭყონიას შესრულებულ ალიაბევის რომანს „ბელბელი“ იმეორებდნენ ხოლმე. ისეთი გრძნობით, ოსტატობით ასრულებდა... ძალიან მიყვარდა. ერთხელაც მას მივბაძე, ავყვვი. მგონი, მომღერლის ნიჭი უნდა გქონდესო, თქვა დედამ. ისე საესტრადო სიმღერებს ვმღეროდი, ჯაზს ვუკრავდი. ველა დედას თავისი შვილი კარგი ჰქონია-მეთქი, ვეუბნებოდი, ვერინაალმდევებოდი, მაგრამ მისი ხათრით საქამიალ მოზრდილმა მაინც დავიწყე ლამარა ჭყონიასთან მეცადინეობა. დედაჩემის მეგობარი იყო. დედა არწმუნებდა, ნიჭიერია, ბავშვს წარმოდგენა არ აქვს, კლასიკა როგორ იმღერება, და თუ ასეთი მიბაძვის უნარი აქვსო... სახლში კი გულზე ხელს დაიდებდა და მეუბნებოდა: დედას დაუჯერე და ცნობილი მომღერალი გამოხვალო. ამ სიტყვებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ქალბატონმა ლამარამაც მითხრა - იანო, გიგანტური ნაბიჯებით მიდისარ წინ, მგონი დედაშენი მართალია, ბევრს მიაღწივო...

დედა გუნდის დირიქორი იყო, ბჟენბით
ხელოვანი, ნიჭიერი, ენერგიული, სხვა შემართების
ადამიანი... პროფესიას ვერ გაჰყავა, ოთხი შეილი უნდა
გაეზარდა, დამხმარე კი არავინ ჰყავდა. ვხვდებოდი,
რომ ნაკლულოვანებას გრძნობდა. ყველანი ასე
ვართ, ჩვენი აუზდენელი ოცნებების რეალიზება
შეილებში გვინდა. ამიტომ ყველანი ხელოვნების
დარგებზე შეგვიყვანა. ჩემი ერთი და მომღერალია,
მეორე - პიანისტი, მამა არქიტექტურის ფაკულტეტი
დაამთავრა. მეც ფორტეპიანოზე შემიყვანეს
კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა აწწლებში.
რომელ ბავშვეს მოსწონს მეცადინეობის პროცესი...
თუორიული სავანები მეტად მიყვარდა, ამიტომ
სწავლის გაგრძელება ამ განხრით გადავწყვიტე.
შესანიშნავ სპეციალისტებთან - ციცო ხომერიკოთან
და მანანა ანდრიაძესთან გატაცებით ვმეცადინეობდი,
პარალელურად - ვოკალშიც. მოხევე გოგო
აბარებს კონსერვატორიაში, ძლიერი ხმა აქვსო,
ამბობდნენ. ყველას აინტერესებდა, ვინ იყო, ვისზეც
ამდენს ლაპარაკობდნენ, გამოცდაზე კულტურის
სამინისტროდანაც დაგვისწრინენ".

...ნებისმიერმა უკრნალისტმა იცის, რომ
არსებობენ მხიმე და იოლი მოსაუბრები. იანო

ალიძეგაშვილი გახსნილია, გულწრფელი, იუმორის
გრძნობით, ემოციურად საუბრობს... მისგან
კეთილგანწყობა მოდის. სიმსებუქის განცდა
გეუფლება.

„...სადღაც, შიგნით დიდ ძალას ვერძნობდი
(ჩემი ოჯახი ძალიან ნორმალური, ზომიერი იყო,
და არავისგან ბიძგი არ მქონია, მერეც არასოდეს)...
იმიტომ, რომ ჩემი ნიჭის მოყვარულები იყვნენ:
ნოდარ ანდლულაძე, ჯანსულ კახიძე, ჩვენი საოპერო
სტუდიის დირექტორი - ნოდარ ჯაფარიძე. თითქოს
პირი შეკრუსო, შევებნენ ჩემს გამოჩენას. მე
უბრალოდ მივყვებოდი ამ გზას, სერიოზულად
გმუშაობდი, მსიამოვნებდა, რასაც ვაკეთებდი.
სახელზე არასოდეს მითიქირია, ეს ჩემს ხასიათში არ
იყო. ბედი კი ნამდვილად მანებივრუბდა”...

პირველი კურსიდანვე ფესტივალებში მონაწილეობდა, ოპერაში პეტრე ამირანაშვილის იუბილეზე გამოვიდა, ოპერის დასმა გასტროლზე წაყვანა, მოსკოვში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ქართველ გარსკვლავთა სადამოზე ძირვიეს...

მერქ ვინიასის კონკურსში მიიღო
მრავალი ლეგიბა.

უცხოელებისთვის ალიბეგაშვილი მნელი
წარმოსათქმელია. სცენისთვის შემოკლებული
გვარიც ცუდად ჟღერდა. „ბეგრი ვიფაქრე, მაშინ დედა
ცოცხალი იყო, რჩევა მასაც ვკითხე, დამეთანხმა, და
თამარი დავირქვი, როგორც ჩვენი დიდი მეფის, იმ
ბრწყინვალე ეპოქის სიმბოლო.

კონკურსზე პრემია გერ მოვიპოვე, მაგრამ ფლორენციისა და ოზიმოს აკადემიების სტიპენდიებით დამაჯილდოოს.

ფლორენციაში ვფიქრობდი წასვლას, ჩემთვის
ეს ქალაქიც, ამ აკადემიის ხელმძღვანელი, ბარიტონი
ჯინო ბეკიც ცნობილი იყო. ოზიმოს კი რუკაზე აღბათ
ვერც მოვებნიდი. მაგრამ ეტყობა ესეც ბედი იყო:
ბარსელონაში, ჟიურიში ოზიმოს აკადემიის ვოკალის
მაესტრო აღმოჩნდა. სასტუმროში მომაკითხა,
პოლიდან დამირეკა, არც ერთი ენა არ ვიცოდი.
ინგლისურად რაღაცას მეუბნება, მე არ მესმის...
მოკლედ, დაგვემშვიდობე. ორი საათის შემდეგ კიდევ
რეკავს. საბედნიეროდ, თან ჩემი პიანისტი, ნატაშა
ჭანტურიშვილი, მახლება, უნიკალური მუსიკოსი,
რომელმაც ამ კონკურსისთვის მომამზადა, დიდი
ქანკრია დამახარჯა. მას ინგლისური ესმოდა,

დაელაპარაკა და... იტალიელი მაესტრო თურმე ორი საათია მელოდებოდა. ჩავედი. ფოიეში ზის, წინ აუარება ჭიქები უწყვია, და ხელით მანიშნებს - ნახე, შენს ლოდინში რამდენი წვენი დავლიერ. ამას დღესაც ღიმილით ვიხსენებთ ხოლმე. მან აკადემიის შესახებ ყველა ინფორმაცია დამიტოვა, ნოემბერში სწავლას ვიწყებთ, გელოდებით. ოქტომბერი იყო.

წარმოიდგინეთ, მე, საწყალი, საბჭოთა კავშირიდან იტალიაში უცებ როგორ ჩავიდოდი. დამოუკიდებლობის პირველი წლები იყო, დიდი არეულობა... გამოვითვალე და იანვრის დასაწყისისთვის მოსკოვში ჩავედი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვიზა არ იყო. მთელი თვე სასტუმროში გავატარე, სანამ საქართველოს წარმომადგენლობა არ ჩაერია. შევარდნაძესთან დარეკეს, მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, და მეორე დღესვე საბუთები მხად მქონდა. როგორც იქნა, იანვრის ბოლოს იტალიაში ჩავედი.

თავიდან ძალიან ბავშურად ვიქცეოდი, აქედან გათამამებული წავედი და უცებ სრულიად მარტო აღმოვჩნდი, ენა არ მესმოდა, თითქოს ყველაზე გაბუტული ვიყვა. ძალიან განვიცადე... შემდეგ მაესტრო მელანიმ მითხრა, ძალიან ლამაზი ხმა, საუკეთესო მონაცემები გაქვს, მაგრამ თუ ასე გააგრძელე, მომავალ წელს არ დაგტოვებთო. ამ დროს კი იუეთქა ჩემმა სიამაყემ, გამოვთხიზლდი (სულ საქართველოზე ვფიქრობდი, მაგრამ დედაქემს რა პასუხი გავცე, გამომაგდეს- მეტქი?!) და თავდადებით დავიწყე მუშაობა, რომ დამეტყიცებინა, რა შემეძლო. იქ არავინ გათამამებს, შენს თავში ძალა უნდა იპოვო, რომ თვეი გაიტანო.

ყველაზე ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებიც კი არაფერს წყვეტს... წარმატებისთვის მომღერალს ყველაფერი კომპლექსურად უნდა ჰქონდეს - ლამაზი ხმა, ტექნიკა, ფიზიკური შარმი... სწორად მომართული გონება, ელასტიური უნდა იყოს, იმიტომ, რომ დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდება, და... ბედი, რასაკვირველი”.

იხსენებს ყველას, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ცხოვრების გზაზე შეხვედრია, ასწავლიდნენ, მის აღზრდაში მონაწილეობდნენ, გულშემატკიფრობდნენ, სჯერდათ მისი, იმ სამყაროს შექმნაში ქმარებოდნენ, რომლისკენაც მიისწრაფოდა...

აკადემიის დირექტორი ცნობილი როსინის ფესტივალის სამსატვრო ხელმძღვანელი იყო. მან მოულოდნელად, დაუფიქრებლად, საზოგადოებისთვის სრულიად უცნობ ახალგაზრდა სოპრანოს შესთავაზა 1992 წელს პეზაროში, როსინის ფესტივალში (იმ წელს კომპოზიტორის იუბილე აღინიშნებოდა) მონაწილეობა სემირამიდას ჰარტიით.

„როსინისთან, მის სტილთან შეხება იქამდე არ მქონია, სტუდენტობისას მხოლოდ ერთი პარტია მქონდა ნასწავლი. თუმცა უნდა აღვნიშნო, კონსერვატორიაში კარგად ვიყვა მომზადებული. არაჩვეულებრივი პედაგოგის, პროფესორი იულია ფალიაშვილის კლასში ვიყვა. იგი დიდი ტრადიციების ოჯახიდან იყო - ზაქარია ფალიაშვილის ძმის შვილი გახლდათ. დიდი როლი შესრულა ჩემი, როგორც ვოკალისტის ჩამოყალიბებაში. მხოლოდ ერთი სტილის ნაწარმოებებზე არ მამუშავებდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია - მომღერალი თავიდანვე სხვადასხვა უანრის, სირთულის, მრავალფეროვან რეპერტუარზე უნდა გაიზარდოს.

ამ ინიციატივამ ყველა პირდაღებული დატოუ. ახალი ჩამოსულია, სახელი არ აქვს, ეს დიდი სკანდალი იქნება, რამდენ სოპრანოს ენატრება ამ ფესტივალზე გამოსვლაო. ადამიანი რომ გაჯიუტდება, ხომ იცით, მინდა, რომ იანომ იმღეროსო... - ამბობდა მაესტრო.

ამ პარტიაზე ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი”.

იანო თამარის გამოსვლა ფესტივალის სენსაციად იქცა. შემდეგ დაიწყო მისი დიდი კარიერა... ქართველი სოპრანო ევროპის საოპერო თეატრების სასურველი სტუმარი ხდება. მეორე წელს შედგა დებიუტი ლასკალაში, იმღერა ალისა „ფალსტაფში” და ლინა „სტიფელიოში”, იმუშავა თანამედროვეობის უდიდეს დირიჟორებთან - რიკარდო მუტისთან და ჯანანდრეა გავაძენისთან.

მერე იყო დონა ანა, დედოფალი ელისაბედი, ელექტრა, ამელია, ლედი მაკეტი, ნორმა, მადალენა, ლეონორა, დეზდემონა და სხვ. მსოფლიოს უდიდესი თეატრების სცენებზე.

„იანო თამარი: დავიწყოთ იმით, რომ ის ქართველია” - სტატია ამ სათაურით გერმანულ პრესაში გამოქვებდა “შედეას” პრემიერის წინ.

„რატომდაც ყველას ჰგონია, რომ მედეა ბერძენი იყო. უურნალისტებსაც გაპევირვებიათ, რომ მითქამს, ქართველი იყო-მეთქი. მედეა, რომ იტყვიან, ჩემი სისხლია... კარგად შემიძლია მისი განცდები შევიგრძნო. მას ძლიერი ხასიათი აქვს, მე კი მიყვარს ხასიათის წარმოჩნდა (მედეას სამი განსხვავებული სახე მაქვს შექმნილი). ყოველთვის, როცა როლს მთავაზობენ, მინდა ვიცოდე, თუ ვინ იქნება ჩემი პერსონაჟი. მსურს თუ არა, ვიყო ის სცენაზე, შეესაბამება თუ არა მუსიკა ჩემს ხმას... ჩემი საყვარელი როლია აგრეთვე სემირამიდა”.

„ქალბატონი თამარი ასეთ პარტიაშიც კი აქცენტს სილამაზესა და პარმონიულობაზე აკეთებს.

მისი მედეა ქალურია, საერთო არაფერი აქვს შვილების საშინელ მკვლელთან ძველი ბერძნული მითიდან. ის ცდილობს თავის გმირის საქციელი მაყურებლისთვის გასაგები გახადოს. პოულობს ფერებსარა მხოლოდ შურისძიებისთვის, ნაღველისა და მონანიებისთვისაც. ძალიან ნაზად, დიდი სითბოთი და გრძნობით მღერის”; „...წითელში გამოწყობილი თითქოს სისხლის ნაკადებს გავლებს, თამარი მსმენელს აჯილდოებს სიმღერით, რომელიც ბატონობს თქვენზე, გიპსრობთ, იმიტომ, რომ ის მშვენიერია. ხმა, თანაბარი ყველა რეგისტრში, უმაღლეს დაბაბულობას შვილების მკვლელობის სცენაში აღწევს და მაშინაც კი აუდიტორიის გარკვეულ სიმპათიას იწვევს. ერთი სიტყვით, სცენაზე ნამდვილი გარსკვლავია”... „რა იქნებოდა ეს ოპერა იანო თამარის გარეშე?” - წერდა პრესა.

არ გავკადნიერდები, მისი შემოქმედების განხილვას არ შევუდგები, მაგრამ როგორც მსმენელი, ვიტყვი, რომ უნიკალური სიძლიერის, სილამაზის და ტემბრის ხმა აქვს და ხმის გარდა საოცარი პიროვნული მომზიბელელობა. როგორ ცხოვრობს სცენაზე, როგორი მიმიკა, პლასტიკა, მოძრაობები აქვს... მისი ძლიერი ტემპერამენტი, გამომსახველობითი სამსახიობო ნიჭი გხიბლავთ. მხოლოდ პარტიას კი არ ასრულებს, თავის როლით ცხოვრობს. მისი გმირები არაორდინალური პიროვნებები არიან - განიცდიან, უყვართ, იტანჯებიან...

კიდევ ერთ ციტატას მოვიტან პრესიდან: „მომღერალმა საქართველოდან იანო თამარმა, რომელიც თავის სოპრანოს შესანიშნავად ფლობს, ელისაბედ დე ვალუას როლი შეასრულა. არიას, რომელიც ურთულესია როგორც ტექნიკური, ასევე ემოციური თვალსაზრისით, უკანასკნელ აქტში საოცარი სიმსუბუქით გაუმკლავდა, მიუხედავად ვნებების უმაღლესი სიმძაფრისა, არსად შეუცოდავს. იანო თამარზე უკეთესი ელისაბედის წარმოდგენა არ შემიძლია. ის უნაკლოა ყოველ ნოტში, თითოეულ მოძრაობაში, ყველაფერში, რასაც აკეთებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რასაც არ აკეთებს”...

მისი შემოქმედებით დაინტერესებულებს შეგიძლიათ წევიოთ მის ვებგვერდს: www.iano-tamar.com

- ვისზე შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენს შემოქმედებაზე მართლაც დიდი გავლენა მოახდინა?

- ჩემი, როგორც მომღერლის ჩამოყალიბებაზე უდიდესი როლი ითამაშეს ალბერტო ძედამ (როსინის შემოქმედების საუკეთესო სპეციალისტი აკადემიაში ჩემი პედაგოგი იყო) და რიკარდო მუტიმ - ორმა უნიკალურმა მუსიკოსმა.

რიკარდო მუტის ბევრჯერ შევხვედრივარ ლა-სკალაში (93 წლიდან), ბევრი ოპერა მიმღერია, მის რეპეტიციებს დილიდან საღამომდე ვესწრებიდი. ის ჩემი დირიჟორია, გულგაშლილი, უხევდ გასცემს, რაც



იცის. დღეს ცოტა გულგრილი დამოკიდებულებაა, ყველას ვითომ საღდაც ეჩქარება... ზოგი მოდის, რეპეტიციებს დირიჟორობს, როგორც გინდა, ისე იმღერე... ბედნიერებაა, როცა შეხვდები მცოდნე დირიჟორს, რომელიც გასწავლის (ზოგი ისეთი გასწავლის, თვითონაც რომ არ იცის).

მაესტრო ძედასთან ასეთი შემთხვევაც მქონდა: ბელკანტო როგორია, რა მხრივ იცით? კომპოზიტორები რომ წერდნენ, როდესაც იმეორებენ ან ჰერმატო წერია, იქ ვარიაციები შემსრულებელზე იყო დამოკიდებული. საერთოდ, იმ ჰერმოდში მომღერალი უფრო მნიშვნელოვანი იყო, შეეძლო თავისი გემონება, ვოკალური ხასიათი ჩაერთო და გამოხატა, მუსიკალური იდეის თავისეული ინტერპრეტაცია შეეთავსზებანა. კომპოზიტორი ამის უფლებას აძლევდა. ჩემი ვარიაცია დაწწერე (მიყვარს, ვარიაციებს ვწერ ხოლმე) და მაესტრო მეუბნება - ლამაზი არ არის, არ მომწონს, ასე არ გააკეთო... მე გავჯიქდი, მინდა და მორჩა! რომ ვეღარ ვითანხმებდი, ტირილი დავიწყე... მოღი, იანო, მითხარი, რა გინდაო, დამიყვავა... ეს იყო 91 წელს ნეაპოლში. წარმოიდგინეთ, წელს, ამდენი ხნის შემდეგ ეს ნაწარმოები - როსინის კანტანტა „დიდონიას სიკვდილი“ (გუნდთან და ორკესტრთან ერთად) ურთულესია - ახლახან იაპონიაში შევასრულე მაესტრო ძედასთან ერთად. ეს ამბავიც თბილად გავიხსენეთ”.

ამბობს, რომ მისი საყვარელი თეატრი უდიდესი

ტრადიციების მქონე თეატრი ვენის თეატრია. „იქ საოპერო ხელოვნებისადმი იმხელა სიყვარული იგრძნობა, მომღერალს პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან... ლა-სკალას სულ სხვა ჩიბლი აქვს, იტალია ხომ საერთოდ საოპერო ხელოვნების აკანია, მსმენელსა და მომღერალს შორის სულ სხვანაირი სცენები იმართება. ესპანეთშიც ისევეა, როგორც იტალიაში, მაგრამ იტალიაში თავიდანვე დაეჭვებით გიყურებენ, თითქოს ელოდებიან, სად წაიფორხილებ... და თუ არ მოსწონხართ, ორ, გამოხატავენ და მერე როგორ... თავშეუკავებლად. მომღერლის სახელს, წარსულს არ დაგიდევნ. ვენის პუბლიკას თუ არ მოწონე, უფრო თავშეუკავებით გამოხატავს... იაპონიაშიც დაინტერესებული აუდიტორია, მომღერლებს აღმეროებს, ამერიკაში - დღესასწაულია”...

- ქართველ პარტნიორებზე რას იტყვით?
- საბედინეროდ, ბუნებისგან ულამაზესი ხმები გვაქს მომადლებული, მერე ჩვენი ხალხური ფოლკლორი... ქართულ მრავალხმიანობაზე, ულამაზეს მელოდიებზე რომ გაიზრდები, ეს თავისთვად მოქმედებს ჩვენს ბუნებაზე და გადაგვაქს საოპერო ხელოვნებაში. ...და უდიდესი ტრადიციები, სკოლა. ადრე საქართველოში იტალიელი მომღერლები ჩამოდიოდნენ, ჩვენებიც იტალიაში საწარმებლად მიდიოდნენ - უშუალო ურთიერთობა იყო ნამდვილ იტალიურ სკოლასთან. ეს ტრადიციები, რასაკვირველია, შემორჩენილია. ღმერთმა დიდხანს აციცლოს ბ-ნი ნოდარ ანდლულაძე. ქართულ ვოკალურ ხელოვნებაზე ახალი რა უნდა ვთქვა...

გამაყობ მსოფლიო სცენებზე ქართველი მომღერლების უდიდესი წარმატებით. ყველა განცვითობულია, აქამდე სად იყავითო? ვის პქონდა გასვლის საშუალება?..

საზღვარგარეთ მხოლოდ ლადო ათანელთან ერთად მიმღერია. ლადო ჩემი თანაკურსელია. 2000 წელს ბერლინის „დოიქე იპერაში“ ერთად პირველად ვიმღერეთ. გერმანიის პრესიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა - ორმა ქართველმა გააპრწყინა ბერლინის თეატრი. ჩვენს თეატრში ამისთანა მომღერლები ხშირად რომ გამოდიოდნენ, ის საუკეთესო იქნებოდაო, წერდნენ. მერე ბუდაპეშტში „მაკეტში“ შევხვდით, ვენის თეატრის დირექტორმა „ბალ-მასკარადში“ მიგვიწვია. ასე მგონია, მე და ლადოს ერთად დიდი ძალა გვაქს... სხვათა მორის, „ბალ-მასკარადით“ დავიწყეთ და დავასრულეთ ჩვენი კარიერა თბილისის ოპერის თეატრში. ამ ოპერით შედგა ჩვენი დებიუტი, როგორც კი კონსერვატორია დაგამთავრეთ და მაშინვე თეატრში მიგვიღეს.

- წარუმატებლობა გქონიათ? - ქებად არ

ჩამითვალოთ, არ მქონია... ზოგიერთი გამოსვლით უკმაყოფილო მე უფრო ვყოფილგარ. საკუთარი თვეისადმი კრიტიკული ვარ, ჩემი მეუღლე ამბობს, რომ ზედმეტადაც, მაგრამ არა... იცით, ზოგჯერ ვნერვიულობ და ვგრძნობ, რომ რაღაც ისე არ გამომიგიღა, როგორც მინდოდა. ჩემს შესაძლებლობებს, ღირსებებს რაღაცას რომ ვაკლებ, ამის გამო საკუთარ თავს ძალიან ვკიცხავ ხოლმე.

- დღეს არიან ისეთი ვარსკვლავები, როგორიც იყო სამეული? საოპერო მუსიკას უსმენთ? რომელი ინსტრუმენტის ხმა გიყვართ?

- ოპერას იშვიათად... შინ ძალიან გადაღლილი ვბრუნდები. თან არ მიყვარს, რომ სახლშიც ის ვიყო, რაც გარეთ ვარ. ხანდახან კი მაინტერესებს ვიღაცას მოუსმინო, შევამოწმო ჩემი შეხედულებები.

დღესაც მოდიან უნიკალური მომღერლები, ძალიან მომზადებულები. სამი ტენორის - პავაროტი, დომინგო, კარერასის - პროექტი კომერციული ფენომენი იყო. მათ დიდი საქმე გააკეთეს კლასიკის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ფენებში. ბევრმა მაშინ აღმოჩინა ოპერის სამყარო... ჩემთვის პავაროტი ღმერთი იყო, ხმის ღმერთი!

ცოტ-ცოტას ყველას ვუსმენ, მაგრამ ვინც დღემდე მაგიუბს, ეს იტალიელი ბარიტონი ეტორუ ბასტიანინია, მისი ხმა მატირებს...

თითქმის ყველა ინსტრუმენტის ხმა მიყვარს ლითონური ჩასაბერების გარდა. ვიოლონჩელოზე ვგიფედები, ძალიან მიყვარს პოპოი, ინგლისური ქარასხა, საერთოდ, თბილი ტემპერები.

- მოგვიყვით თქვენი ოჯახის, მეუღლის შესახებ...

- მხოლოდ კარიერა ადამიანს ბედნიერებას ვერ მიანიჭებს, ყველაფერი მიდის... ოჯახი, ვისაც ამის ბედნიერება აქვს, შვილები, ღმერთის საჩუქარია, უნდა შეინარჩუნო... ჩემი შვილი, ნინა - ღედაჩემის სახელი დავარქვი - 8 წლისაა. ფორტეპიანოზე შევიყვანე, ვაცდი, რა გამოვა...

ხან ძალიან დატვირთული ვარ, მაგრამ როდესაც დაღლას ვგრძნობ, ვცდილობ, კონტრაქტზე უარი ვთქვა, რომ ჩემს შვილთან, შინ, წენარად ვიყო. მას დიდ დროს ვუთმობ.

ჩემი მეუღლე, ვიტორიო ვიტელი, იტალიელია, ცნობილი ბარიტონი. ერთმანეთი 1997 წელს ვენეციაში გვიცანით, ვერდის “უალსტაფში” ვიმღერეთ. ჯერ მისმა ხმამ მომხიბლა... გათხოვებაზე საერთოდ არ ვფიქრობდი... ძალიან დიდი ფურადღება და ინიციატივა გამოიჩინა, ცოტა ხანს კი ვაწვალე...

ბოლოს ერთად ვიმღერეთ მარტში „მაკეტში“ (ჩვენმა მეგობარმა, პოლონეთის ერთ-ერთი თეატრის დირექტორმა ჩვენთვის დადგა).

ჩემთვის იტალია მშობლიური ვერასოდეს გახდება, მაგრამ როცა ქმარი, შვილი გაკავშირებს და 20 წელზე მეტია იქ ცხოვრობ... ეს ქვეყანა უკვე შევისისხლხორცე და, საბედნიეროდ, არც გამჭირვება, ჩვენი ხასიათების, ტემპერამენტის, ოჯახური ტრადიციების, ურთიერთობების მსგავსების, სტუმართმოყვარეობის გამო.

„სოპრანო იანო თამარი თავისი მგრძნობიარე გულით და ჭუშმარიტად შესანიშნავი სიმღერით ყველა ნაციონალურ ბარიერს ლახავს, და დიდებული

მარია კალასის სიმღერას გვახსენებს”, - წერს გაზეთი „ფრანგურტერ ალგემაინე”.

რამდენსაც უნდა საუბრობდნენ საოპერო ნაწარმოებების განსხვავებულ გააზრებაზე, რეჟისორთა ექსპერიმენტებსა და ახლებურ ხელვაზე, მაინც მგონია, რომ საოპერო ხელოვნებას ქმნიდნენ და ქმნიან სოლისტები. ისინი ატყვევებენ მაყურებელთა დარბაზს, და სპექტაკლის ბოლოს სრულიად დამსახურებულად უძღვნიან ოვაციებს. ასეთია ქართველი სოპრანო იანო თამარი...


რუსუდან დარჩიაშვილი

ახალი

აბაშაში ერთი ლამაზი სოფელია — მაიდანი. მართალია, ის სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონია, მაგრამ აქ იმერლები ცხოვრობენ და ადგილობრივებმა მეგრულიც კი არ იციან. ამ სოფელში ერთი ქალბატონი ცხოვრობს - ლიდა ჯანგველაძე-ლოჩოშვილი, რომელსაც ყველა ლიდა ბებიას ეძახის. რამდენიმე კვირის წინ მას დაბადების დღე ჰქონდა - 100 წელი შეუსრულდა. იუბილარს უამრავი სტუმარი ეწვია; დიდი სუფრაც გაიშალა და 3 ერთნაირი ტორტიც მიართვეს, რომლებზეც სათითაოდ იყო გამოსახული ციფრი - 100.

ბებომ 100 სანთელი ყოჩაღად ჩააქრო, მაგრამ ეზოში აბრიალებული ფეიერვერკების კი შეეშინდა და მოამორეთ ეს ეშმაკის მაშალაო, - გაიძახოდა.

ამბობენ, ლიდა ბებო ვისაც დალოცავს და ზურგზე ხელს დაადგებს, ყველას საინკორო აუხდებათ. მასთან ადგილობრივი მამაოებიც კი მიდიან და სთხოვენ, - დაგვლოცეო. სიკეთით საგსე ქალბატონს არ ეზარება, აცახცახებული მარჯვენა ზურგზე დაგაღოს და წარმატება გისურვოს. მოხუცა შესაშური მექსიერება აქვს და წარსულის ყველა



100 სანთელი გავრცელება

მოვლენა ზედმიწევნით ზუსტად ახსოვს, მის სახლში კი თვით სტალინი იმალებოდა.

* * *

- 1910 წლის ზაფხულში, ძალიან დარიბ ოჯახში დავიბადე. წარმოიდგინეთ, ჯამი და თეფშიც არ გვქონდა, ჰიქის მაგივრობას კი ხისგან გამოჩორებილი, ამოღრმავებული ფიალები გვიწვდა; თეფშები და

ჯამებიც ხისგან იყო გამოთლილი - კალამჯამებს ვეძახდით. ჭიდან წყალი რომ ამოგეელო, ვეღროც არ არსებოდა. ერთი მცენარე იყო, ადრე კვატურას ვეძახდით (მისი ნაყოფი გოგრას ჰყავს), ახლა მას ღვინის ამოსალებად იყენებენ და ორშიმო პქვია. ნაყოფს სპეციალურად ამუშავებდნენ და შემდეგ კვატურათი ჭიდან წყალს იღებდნენ. სულ ერთი გამჭვარტლული ოთახი გვქონდა, სადაც შუაცეცხლი ინთებოდა. ღამით, როცა დედა ცეცხლს დაანთუბდა, კვამლი თვალებს გვწვდა. ბავშვები ვჭრულებდნებით ხოლმე, - რატომ არ გვაძინებო?! დიდი გოგო ვიყავი, როცა პური პირველად ვიგემ... .

მამაჩემი 8 წლის დაობლდა. როცა ასე პატარა ბავშვი უდედმამოდ რჩებოდა, „აპეკუნს“ უზიშნავდნენ ხოლმე, რომელიც ბავშვზე ზრუნავდა. ასეთი ადამიანი მამასაც მიუჩინეს. იმან მამა ხონში, ჩხერის მდიდარ ოჯახში მოჯამავირედ დააყენა. მას თურმე, ძალლების მოვლა ევალებოდა - მონადირე ძალლებს ბანდა, აჭმევდა და წვრთნიდა. „აპეკუნი“ ვალდებული იყო, აღებული ჯამაგირი მის სრულწლოვანებამდე შეენახა და შემდეგ მიეცა. მამას თურმე, ძონძები ეცვა და ზამთარში ძალიან სციონდა. პატრონი უგულო კაცი ყოფილა, ბავშვისთვის არაფერს იმეტებდა. ერთხელ სიცივეს ძალიან რომ შეუწუხებია, ძალლებთან დაწოლილა და ისე დაუძინია.

ერთი კვირის შემდეგ ეს ამბავი პატრონს გაუგია და მათრახით უცემია. ბავშვი შუაღამისას გაქცეულა, ტყისპირას ჩამომჯდარა, ტირილი დაუწყია. ამ დროს მეზობელი სოფლიდან მომავალ მღვდელს გამოუვლია და ტირილის ხმაზე შეჩერებულა. ბავშვი რომ უნახავს, გაოცებულა, ანაფორაში გაუხვევია, შინ წაუყვანია, დაუბანია და დაუპურებია კიდეც. მეორე დღეს „აპეკუნი“ შეშფოთებულა და მღვდელს მისდგომია, მაგრამ მამაოს მისთვის დიდი საყვედური უთქამს; ისიც გაურკვევია, რომ თურმე, ჯამაგირს არ უნახავდა, ჰოდა, ბავშვი თავისთან დაუტოვებია.

მამას 18 წლამდე ცოტაოდენი ფული დაუგროვებია და უკვე სრულწლოვანი, მღვდლის ოჯახიდან წამოსულა; მერე შშობლიურ სოფელში, მაიდანში ჩამოსულს კამეზი უყიდია, საცოლისთვის ბეჭედი შეუძენია და დაოჯახებულა. ჩემს შშობლებს 8 შვილი ჰყავდათ. ერთხელაც, სოფელს ქოლერა „დაერია“; იმ პერიოდში უამრავი ადამიანი დაიღუპა და ერთ დამეს ჩვენს ოჯახშიც 2 ბავშვი გარდაიცვალა - 12 და 8 წლის და-ძმა დამეღუპა... ამ დაავადებისგან ზოგიერთი ოჯახი მთლიანად განადგურდა, გარდაცვლილების დამკრძალვიც კი არ დარჩათ ერთ დღეს მამამ და ოამდენიმე კაცმა გადაწყვიტეს, - დავთვრეთ, ხელები და ტანი არყით გავიწმინდოთ, მერე კი გარდაცვლილები გავაპატიონსოთ. მათ დიდი ორმო ამოუთხრიათ და ყველა მიცვალებული

დაუმარხავთ.

მამა უსამართლობას ვერ იტანდა, ადამიანის ჩაგვრას ვერ ეგუებოდა; თანაც, ყველაფერითავისთვის ჰქონდა გამოცდილი და როგორც კი რევოლუციური ტალღა აგორდა, მაშინვე ბოლშევიკების მხარეს დადგა და რევოლუციონერი გახდა. „სტრაჟნიკები“ ჩვენთანაც ხშირად მოდიოდნენ. უფროსი და მყავდა, რომელიც შორეულ სოფელში, ნათესავთან გადამალეს, რათა მისთვის ვინმეს შეურაცხყოფა არ მიეყნებინა.

მენშევიკები და ბოლშევიკები რომ იბრძოდნენ, მეც კაი დიდი გოგო ვიყავი - 12-13 წლის. ჩვენი სახლის უკან ერთი დიდი მუხა იდგა, რომელიც შუაზე გახლდათ გაპობილი, გარშემო კი ტოტებითა და ფოთლებით დაფარული - რევოლუციონერებს სწორედ იმ მუხაში მალავდნენ ხოლმე; იმ ხალხს, ვისაც „სტრაჟნიკები“ ეძებდნენ, მხოლოდ ისეთ ოჯახებში მალავდნენ, სადაც მამაკაცი იყო - მაშინ სხვა დრო გახლდათ და უბამაკაცო ოჯახში უცხო კაცის დარჩენა არ შეიძლებოდა. ხშირად, თითო ოჯახში 2-3 ბოლშევიკი იმალებოდა და მათ დარიბულ ლუქმასაც უზარისებდნენ...

მამა ღამით ტანისამოსსაც არ იხდიდა, მხოლოდ ჩექმას თუ გაიძრობდა (ჩექმა რევოლუციურმა კომიტეტმა აჩუქა) - ეს იმიტომ, რომ თუ საქმე გასაქცევად გაუხდებოდა, უცებ გაესწრო. ერთხელ ეზოში „სტრაჟნიკები“ ისეთ დროს შემოვიდნენ, მამამ დამალვა ვერ მოასწრო. გაიქცა, მაგრამ დაეწივნენ და ერთმა „სტრაჟნიკმა“ ცალი ულვაში ააპუტა. გასისხლიანებული მამა რომ დავინახე, „სტრაჟნიკებს“ ვეცი და ერთ-ერთს წერა თითო მოგაკვნიტე. იმ კაცმა იკივლა, მას მეორე წაეშველა და მამამ თავს უშველა....

ერთხელ ხონში მიტინგი ტარდებოდა, სადაც სიტყვით სტალინი უნდა გამოსულიყო; მაშინ მას სტალინი არ ერქვა, ყველა კობად იცნობდა. მიტინგის დღეს მამა შინ მოვიდა და რაღაც წაიღო. დედამ თქვა, - ახლა კიდევ ვიღაცებს მოგვიყვანსო. მამას შინიდან დედას თავშალი და ხალათი წაუდია, ეს მერე გავიგეთ. თურმე, მენშევიკებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ როგორც კი სტალინი ტრიბუნაზე ავიდოდა, ესროლათ და მოეკლათ. მართლაც, როგორც კი კობამ ტრიბუნაზე ფეხი შედგა, სროლის ხმა გაისმა. თურმე, მის უკან მდგარმა მამამ თავზე თავშალი გადააფარა, მიწაზე დააგდო და ზემოდან გადაეფარა, შემდეგ იქიდან ხოხვით გამოვიდნენ. როცა სამშეიდობის გამოაღწიეს, ხალათი ჩაცვა, თავზე თავშალი მოახვია, ხელკავი გამოსდო და შინ ისე წამოიყვანა. შორიდან რომ შეხედავდით, გეგონებოდათ, ქალი მოჰყვებოდა გვერდით. მამა სამზარეულოში შემოვიდა და თქვა: - კობა მოვიყვანე. საჭმელი თუ რამე გაქეს, გაჭამოთ.

დედამ უთხრა, - ბაჟვებს ცოტა დომი მორჩათ, იმას გავაცხელებ; მჭადსაც დავაცხობ და ცოტაოდენი კველიც გაქვს.

იმ დღეებში ჩვენთან ბევრი რევოლუციონერი მოვიდა. მათ ვერა და ვერ გაიყვანეს კობა საშვიდობოს; ეშინოდათ, რომ არ მოეკლათ. იწგვლივ „სტრაჟნიკები“ დაძრწოდნენ. მეზობლებმა იცოდნენ, ვის ვმალვადით, მაგრამ ყველა მამას ედგა მხარში და სტალინის გაცემა არავის მოსვლია აზრად. 3 ღლის შემდეგ, როგორც იქნა, ჯიხაიშში გააპარეს. ომი რომ დამთავრდა, მამაქემს ამაგი დაუფასეს - კარგი საჩუქარიც მისცეს და თანამდებობაც უბოძეს. სტალინმა მამას თავისთან სამსახურიც შესთავაზა, მაგრამ ჩემი უფროსი მმა ახალი დაღუპული იყო და მამამ წასვლა არ ინდომა.

კარგად მახსოვს ის პერიოდიც, როცა ჩვენს სახლში ბუღუ მდიდარი იმალებოდა. ომის შემდეგ გავიგე, რომ სახლში უმრავი ტყვია-წამალიც გვქონია - საღორე მთელი არსებალით ყოფილა სავსე. ჩვენი სოფლის მღვდელი მამა სიმონი (მიქაელ) გახლდათ. რევოლუციის დროს მასთან რამდენიმე მოწადინებული ახალგაზრდა მოვიდა, - წვერი უნდა გავკრიჭოთ. მამა დაიმუქრა: ვინც სიმონს ხელს ახლებს, შუბლში ტყვიას დაგახლიო და ამის შემდეგ შეეშვნენ. სწორედ მამას დამსახურებით, მამა სიმონს არც შესამოსელი გაუხდია და არც მსახურება მიუტოვებია. მამას ყოველთვის სწმდა ღმერთის და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი გახლდათ. საშობაოდ და სააღდგომოდ საკლავს ჩუმად ვკლავდით და ვზეიმობდით. რევოლუციონერი კაცი კი იყო, მაგრამ შუალამისას აგვაყნებდა ხოლმედა ვლოცვულობდით... ჩემი ქმრის მამიდა, ნინო მონაზონი გახლდათ. სულ მთლად ახალგაზრდამ საკუთარი თვალით ნახა, როგორ გადაჰყეა მისი და შმობიარობას. სამწუხაოდ, ჩვილიც მალევე დაიღუპა და ნინომ სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა, მონაზვნად წასულიყო. მან სასულიერო სასწავლებელი ქართლში დაამთავრა, მონაზვნად კი მათხოვში აღიკვეცა.

როდესაც ეკლესია-მონასტრები დახურეს, დედა ნინო ორ მონაზონთან ერთად ჩვენს სოფელში დაბრუნდა და ეკლესის გვერდით, პატარა სახლში დაბინავდა. ფესუნა და ქარისტინე (ასე ერქვა მონაზვნებს) ნინოზე უფროსები იყვნენ და მალე გარდაიცალნენ. ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოუიდა და ნინოს სახლის სახურავი ჩაუნგრია. ეს რომ გავიგე, ჩემთან წამოვიყვანე და ხუთი წლის განმავლობაში ვუკლიდი - ბოლო ექვსი თვე დაურდომილი იყო. დედა ნინო მუდამ ფქშიშველი დადიოდა. ამბობდა: ჯობია, აქ ვეწამო, ვიდრე საიქიოსო. სასოფლად დიდი ქვა ედო - ბალიშზე არასდროს დაუდვია თავი. როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ღვთისმშობლის

ხატი, ის ტანისამოსი, რომელიც მონაზვნად აღკვეცის დროს ეცვა, მოოქროვილი ჩუსტები, დიდი და პატარა ხის ჯვრები მოითხოვა, მერე კი მითხრა: ზიარება მინდა. იქნებ, ღვინო და თეთრი პურის ნატეხი მიშოვო.

მაშინ პური მხელი საშოვნი გახლდათ. მეზობელ კაცს ოჯახის წევრი გარდაეცვალა და „სატიროლისთვის“ ქალაქიდან ცოტაოდენი პური ჩამოიტანა. მას ვთხოვე, ცოტა პური მოეცა. ნინო საწოლზე წამოჯდა, ღვინო და პური აკურთხა, შემდეგ კი ეზიარა. ანდერძად დაიბარა: ეს დიდი ხის ჯვარი (თითქმის მისი სიგრძე იყო) გულზე დამადეთ, რაც დახეული ხატები ნახოთ, დაწვით და ფერფლი მდინარეს გაატანეთ, ღვთისმშობლის ეს ხატი შენს ოჯახში დარჩეს (მისი პირადი ხატი იყო). იცოდეთ, არავინ იკივლოს; ცრემლი გალია და გალს გადახდა უნდა; ისე გამასვენეთ, მწერი არ დამაჯდეს; საფლავი ისეთ ბიჭებს გაათხრებინეთ, რომლებიც ქალთან ნამყოფი არ არიან; ტანისამოსი პატიოსანმა ქვრივმა ჩამაცვას; პირველ საათამდე, პატარა ჭიშკრიდან გამასვენეთო და საფლავის ადგილიც მიმითითა. ნინოს გარდაცალებამდე სამი დღით ადრე, დამით ეზოში გავედი და დავინახე, რომ ეზოში წელში მოხრილი ქალი შემოუიდა, რომელსაც ხელში ჭრაქი ეჭირა. შემეშინდა და მაშინვე შინ შევედი.

დედა ნინოს რომ ვუთხარი, დამაშვიდა: - ნუ გეშინა, ჩემი წასვლისდრომოვიდაო... გარდაცვლილი შუა ოთახში დავასვენეთ. მეორე დღეს ისე მოხდა, რომ ოთახიდან ყველანი გაევდით და მიცვალებული მარტო დავტოვეთ. უეცრად, მეზობლის ყვირილი გავიგონეთ, - ჩქარა მოდით, ოთახში ცეცხლი ანათებსო. მართლაც, მიცვალებულის თავთან, ჭერზე რაღაც მრგვალი, ცეცხლოვანი ბურთი ეკიდა და კაშკაშებდა. ოთახში რომ შევედით, ეს ყველაფერი გაქრა... ხატი, რომელიც ნინომ მაჩუქა, მე-18 საუკუნისაა. ვიფიქრე, ჩემი პატარა სახლი მისი საკადრისი არაა-მეთქი და ჩემს მულს გავატანე.

გვიდა დრო. ერთხელ სიზმარში ვნახე, რომ ოთახში, სანთლით ხელში ნინო დადიოდა და რაღაცას ეძებდა. მერე მკითხა, - ხატი სად წაიღეო? შემინებულს გამომელვიძა. ჩემს მულს ყველაფერი მოუყევი და ხატი დამიბრუნა. სხვათა შორის, ერთხელ ეს ხატი მოგვპარუს კიდეც, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეზოში გადმოგვიგდეს. როგორც შემდეგ გავიგე, ქურდს კარგი დღე არ დასდგომია, მის თვეს ათასი უბედურება დატრიალებულა და უკან ამიტომაც მოუტანა. ჩემთან საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ საეკლესიო ნივთები და წიგნები დედა ნინომ მათხოვის ეკლესიაში გაგზავნა. ვიცი, რომ იქ ახლაც ინახება წიგნები, მისი წარწერით.

- თქვენს მეუღლეზე რას მეტყვით? როგორ

გათხოვდით?

- მშობლების სურვილით გავთხოვდი ანუ მეუღლე გამირიგეს. განათლებული, წარმოსადევი კაცი იყო. ვიდრე გამირიგებდნენ, მე მანამდეც მომწონდა - საქმიანი კაცი გახლდათ, ჩვენს რაიონში კომკავშირი მან დააარსა. ორივე კარგი შესახედავები ვიყავით. მამამ მითხრა, - სოფლელი კაცი კია, მაგრამ რა უჭირს, კარგი ადამიანია. მეც დავთანხმდი. უფროსი ბიჭი ორწლინაზევრის იყო, გოგო კი წლინაზევრის, ორდესაც ჩემი ქმარი „გერმანიის ომში“ წაიყვანეს და იქიდან არც დაბრუნებულა. ობლები მარტომ გავზარდე. ძალიან გვიჭირდა... აგერ,

ეზოში რომ მსხლის ხე დგას, იმის ძირას ვიდექი და ისე გავაცილე ჩემი ქმარი, პოდა, სწორედ მაშინ ვნახე უკანასკნელად. მაშინ არაფერი გვებადა. ყველაფერი, რასაც აქ ხედავ, ჩემი მონაგარია.

ახლა კიდევ ბევრ რამეს მოგიყვებოდი, ბებია, მაგრამ დავიღალე და ლაპარაკის თავი აღარ მაქვს... კარგმა მოვლამ მომიყვანა ამ დრომდე, ძალით მაცოცხლებენ. რაც მაცოცხლა უფალმა, იმის მაღლობელი ვარ.

ესაუბრა
შარი ჯაფარიძე

ნირილი ამარიკიდან

გასული წლების განმაფლობაში საქართველოში შექმნილმა ეკონომიკურმა შირობებმა შეიმუშავდნენ ბევრ ქვეყანაში მიმოფანტა ქართველები. ამა თუ იმ ქვეუნის შირობებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში ქართველთა განსხვავებული ფენაა თავმოურილი. თუკი გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას ახალგაზრდა სტუდენტი გოგო-ბიჭები შეადგენენ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, საბერძნეთში თუ იტალიაში ბევრი ჩენი თანამემამულე ქალბატონია წასული, რომელთა მირითადი საქმიანობა მოხუცებულთა მოვლას წარმოადგენს.

ამ ნომერში გთავაზობთ ამერიკაში მცხოვრები ერთი ქართველი ქალბატონის წერილს.

სავალი არის უპირატონი

ემიგრანტის ხვედრი რომ მძიმეა, ეს ყველამ ვიცით და არახალია, მაგრამ მანამ, სანამ შენს ქვეყანაში ცხოვრობ, ამას ვერ გრძნობ და ასე გორია, რომ შენ ეს არასოდეს შეგხება და ამ ტანჯვასაც შენთან საერთო არაფერი ექნება.

საქართველოში ცოლ-ქმარს მეუღლები ჰქვიათ, არა მგონია მსოფლიოში რომელიმე ერს, რომელიმე ენაზე ასე ზუსტად მიეგნოს და განემარტოს სიტყვა ცოლქმრის მნიშვნელობისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

მეც მეუღლე ვიყავი და ვთვლიდი, რითაც და როგორც შემეძლო უნდა გამწია დიდი ოჯახის მძიმე უღელი. ქართველი ქალი ხომ ყოველთვის

მამაკაცთან ერთად, თანაბრად (თუ მთლიანად არა) ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს და ამაში ვერც განსაკუთრებულს ხედავდა რამეს.

ქვეყნის ეკონომიკურმა ნგრევამ მეც სხვა ქართველი ქალების მსგავსად, ამ ქვეყანაში გადმომისროლა. მოვდიოდი და უკან ვტოვებდი ყველას და ყველაფერს, რაც ასე ძვირფასი იყო ჩემთვის - სამ შვილს, მეუღლეს, და-ძმას, სამშობლოს...

ვიცოდი, რომ გამიჭირდებოდა, ამისათვის თავს ფიქოლოგიურად ვამზადებდი, მაგრამ რეალობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიღრე წარმოვიდგენდი.

არც ეკონომიკურად გამჭირვებია, არც შეურაცხყოფილად მიგრძენია თავი, მაგრამ

ქართული

დედისთვის, რომელსაც შვილების ხატება სულ თან
დაჰყება, ძალიან ძნელია სხვა ქვეყანაში ცხოვრება

უოჯახოდ,
უშვილებოდ,
უსიყვარულოდ.

მხოლოდ ტელეფონი და კომპიუტერია ჩემი და
ჩემნაირების ერთადერთი იმედი, მისი საშუალებით
ვუკაშირდებით ოჯახებს, ახლობლებს და რაც
მთავარია ერთმანეთს.

აქ მყოფი ქართველი ქალები ერთმანეთის
ცხოვრებით ვცხოვრობთ, ვცდილობთ ერთმანეთს
გვერდში დაუუდეთ, დაგეხმაროთ, იძვიათად ვიცინით.
ვტირით ერთმანეთის და-ძმას, დედას, მამას, შვილს.
წერილებზეც ვტირით - შვილების წერილებზე.

„დედიკო, ძალიან მენატრები, არანაირი
უფლების საგნები არ მჭირდება, ყველაფერს
დავწვავ, გადავყრი, მე შენ მჭირდები“.

„დედიკო, ჩვენს სახლში ჯერ კიდევ ტრიალებს
შენი სურნელი“.

„დედიკო, ძალიან მინდა ჩაგქუტო, მენატრები,
გთხოვ ჩამოლი“.

„არავინ მოგატყუოს, რომ დეიდას დედის სუნი
ასდისო, დედის სუნი არავის ასდის“.

ასეთი წერილების წაკითხვის შემდეგ ყელში
ბურთივით რაღაცა გეჩხირება, გახრჩობს, სულს
გიხუთავს, ცრემლებს კი ვერაფერი აჩერებს,
მოგორავენ შენს სახეზე და ნიკაპთან ერთდებიან,
შემდეგ უბეში მიძვრებიან და ყველაფერს ასველებენ.
ცდილობ თავი ხელში აიყვანო, არ იტირო, საუბრის
თემა შეცვალო, მაგრამ არაფერი გამოგდის. მნელია,
არ ითიქრო შენს ახლობლებზე და არ შეგეცოდოს ის
ხალხი, რომლებმაც შშობლები, და-ძმანი და ზოგჯერ
შვილებიც ვერ დაიტირეს.

ჩვენ, სხვადასხვა ასაკის ქალები, ჩვენს
დაუძლეურებულ მოხუცებთან ერთად ვართ
სახლში გამოკეტილნი. ეს დაახლოებით იგივეა,
რაც საკუთარივე ფეხით რომ ჩაჯდე ციხეში, იმ
განსხვავებით, რომ თავზე შეიძარალებული ბადრაგი
არ გიცავს და არც რეკინის გისოსებია საძმე.

ქუჩაშიც გადიხარ, მაღაზიებში შედიხარ,
ყიდულობ ტანსაცმელს შვილებისათვის, მერე
ბრუნდები სახლში და დიდხანს, დიდხანს არ ინახავ,
უყურებ და ეფერები, დაძინების წინ ჩაალაგებ,
რომ მეორე დღეს კვლავ ამოალაგო და მოეფერო,
გინდა წარმოიდგინო როგორი იქნება შენი შვილი ამ
ტანსაცმელში, როგორ მოიხდენს...

ეს ქვეყანა აბსოლუტურად განსხვავდება ჩვენი
ქვეყნისაგან და შენც უცხო ხარ და მიუსაფარი. არავის
ენაღვლები და მანამ გიცინიან, სანამ ჭირდები,
დაგეხმარებიან კიდეც, ხელსაც გამოგიწვდიან,

მაგრამ რაღაც ზღვრამდე... იქეთ არც გადაგიშვებენ
და არც შენ გაკადრებენ რამეს.

ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ, საოცარი
სილამაზე და სისუფთავება. თვალს უხარია, გულს კი
არა! არანაირი სილამაზე და სიმდიდრე არ მჭირდება
ჩემი ქვეყნის და ჩემი ოჯახის გარეშე.

ცაც სხვანაირია, შეცეც, ღრუბლებიც კი...
თუ საძმე „ჩვენებურ“ ყვავილს წავაწყდები, ისე
მიხარია, როგორც დიდი ხნის უნახავი ახლობლის
ნახვა, სურვილი მიჩნდება დავიჩოქო, ხელი შევახო,
მოვეფერო და ვკითხო:

- იცი?! რომ შენი და-ძმანი საქართველოში
ცხოვრობენ, აქედან შორს, ძალიან შორს, ზღაპრულად
ლამაზ ქვეყანაში. შეიძლება შენი წინაპრებიც იქიდან
არიან წამოსულნი?! ის ხომ უძველესი ქვეყანაა,
სადაც უგემრიელესი წყლებია, აქაურს არა ჰგავს,
შენ ხომ წყალი ძალზე გჭირდება და გიყვარს.

ყვავილს ფოთლები ჯერ კიდევ სველი აქვს (აქ
ხომ ყოველდღე რწყავენ), გაკვირვებული მიყურებს,
ცოტა ხანს კიდევ ვსაუბრობთ და ბოლოს ვპირდები,
რომ მოკითხვას აუცილებლად გადავცემ მის
ახლობლებს. გაკვირვებული თვალებით მაცილებს
და ვერ გებულობს, რატომ ვდარღობ ასე ძალიან ჩემს
ქვეყანაზე. არც მიკვირს, იმიტომ რომ ის აქ დაიბადა
და მისოვის უცხოა ეს გრძნობა.

ყველაზე ძალიან, რაც მაკლია ამ ქვეყანაში, ეს
მთებია, საქართველოს მთები, ოთხივ კუთხიდან რომ
ცდილობს დაიცვას ქვეყანა გარეშე მტრებისაგან,
მაგრამ არაფერი გამოსდის.

ერთხელ, მეუღლესთან ერთად ბაკურიანში
მივდიოდი სოფელ ტბის გავლით.

ადრიანი დილა იყო, ნისლი ჯერ კიდევ
არ გადაეცარა მთებს, მზე მხოლოდ ალაგ-ალაგ
ახერხებდა ბურუსის გაფანტებს, ისეთი გრძნობა
მქონდა, რომ ღრუბლებში მიცურავდი მანქანით,
ხელს გავიშვერდი და ცას დავეკიდებოდი, მეგონა. ეს
გრძნობა აქ არასოდეს გაგიჩნდება, შენს ირგვლივ
მსგავსი არაფერია.

მაპატიოს მკითხველმა, თუ ჩემი მონათხობი
ცოტა სევდიანი გამომიყიდა.

არა, ამ ქვეყნის მაღლიერიც ვარ, გულში
რომ ჩამიკრა, ოჯახის გადარჩენის საშუალება რომ
მომცა... უბრალოდ ყოველწამს ვგრძობ ჩემი ქვეყნის
განუმეორებლობას და მეტირება!

სიამაყის და მონატრების ცრემლებით!

ლია კუპატაძე,
ტომს რივერი, ნიუ ჯერსი

ჩვენი ღლვანილი ნომრის სცემარია
ალექსანდრა გეგეჭორი. იგი სპეციალო-
ბით კულტუროლოგი (ისცორიცოსი) გახ-
ლავთ, ისცორის მეცნიერებათა ღოძფორმი.
ამჟამად ალექსანდრა მუშაობს მორიგ სა-
რისერვაციო ნაშრომზე მიუნივერსიტეტის ლიტერატურის
მაძრიმილიანის სახელობის უნივერსიტე-
ში. მისი ინცერსაციის სთარობიდა რელი-
გის ისცორია, ხელოვნება და ლიცერა-
ცება. გარდა სამუცნიერო პუბლიკაციებისა
იგი არის მხატვრული ესეების ავტორი.

საკუთარი ლექციებით აღწევსანდრა
პირზელად წარსდგება მკითხველის წინაშე.
წინამდებარე ლექციები დაწერილია მიუნს-
ენში, 2009/2010 წლებში.

ძეგლით უკინო კსო
თოლით ხერთვაში. ა
სოსო ჯოუბოოხები.
უკი რასეროვოდ.
შემსხი ცოტა!
ძრითი ყროფასის
მიხრა რაგვებები.
ძრითი მოხმის
მიხრა რაგვისონ
რა რაგვებობი
ხეგვებული ხეგვილებში.
ხერთი ჩამოვაზებ
ხსნდელოს ჭიათში.
შენი ზიღოთ კსო.
შენი კბებს.
შენი ჭარით კსო.
ხსნდისო ხსრში
მცხეთის რანიცეული
კსონ კრისი კსო.
მოუწიროთ თვალოების
ყდინით იქცევითი
რასეროვაზი.
შენში ჩავიგვები.
შევიხმის რა
სხი კავები.



ՀԱՅՈՂՅԱ ԲՐՅԱՆՏՐԱ

Ճեմրաս. Ռուզբենից լուսերմատ լուսերմադո
չշշուտում մոյզույրուս և եղայրովն.՝
կիմ ըստը ըստը ու ուղարկու
ոչքենուու բաշխութեա...
Ճեմրա թերթած չշմուտու չանչո.՝
Եղրուս պրասենուս Շաբ's
Ռուզբենց և Տուղունուն.
Ռիմիթին ու կերպած տայտու յըն.՝
Ճեմրանուս. Կղրուս. Ռուրդուս.
Ռումունիանց մուօպանուն.
Ճեմրա յանմած մոյզելուս ճտորս.
Ռուտունմանց Եղբույժնեա
Եղբույժուս չտուրունուն.
Ռույս մոյզույրու և հմուռուս յըրուշայ.
Ճեմ Եցիդույց լուզեա Մուզույց յըն
Եղբույժուս միջունուն.
Տեղ բաժնուց Եղբույժնեա
ու Եցիդույց լուզեա Ճեմրանուն.
Տեղ չամուռութեա Ցորուս
Ճոմէշըրուս Եղիցը...
Տեղ բաժնուց Եղբույժնեա
ու Եցիդույց լուզեա Ճեմրանուն.

କାନ୍ତାଳୀ

მოსკოვის

ପ୍ରମାଣ

ոչշրո - ոչշրո,
Ձեղուս - Ձեղուս.
Հնուովշուս, ոչշրո մնայրան.
Եսմիսեմ, տնուցրուու Միթոն.
Շաբայքչուու Կոյրման երայդեցրա.
Կոյրմանու և երայդու
Երացյ զըռչչեցնուն.
Երացյ Կրտսուցնու
Ուշոյուն մես հարակեցրա.
Ճերո Միթ Ե՞սմուցրան
և օյլումն օյլեպուշրան.
Շաղրառադեն լմդուունեցն
այ - Հնումուն.
Կոյրմանուն, և նդուրդարման.
Բու մժուգուն, Բու Բույրուն.
Չուեցնուն Բու Ճուրդեղրուն.
Ան, Բուց Տեքրուն, և ցոյժնեցրուու
Եռու Ժմենեղմուն.
Ճերո, Բու, լողմնադեն ըստեցյ
Ցենուրդուն, ունեցուն...
Ջերմուր լսուն Այումանուն լիուն
ու Մոնես Տյերուցյ օչքուու
ոչշրուն Տիւն.

თეოლით კამას ფილიები

Եղանակ մտութեա,
Համեստ ո՞չ յանդրու...
Ոման և Տէմնպրու դշտորուն
Հմուտովերու Կոշեցիւսը.
Մզմոմքեցու քսենի
Եռութեամբու այնիւսը,
Խամունունի օդուտառունիւս.
Դդուտայնու ողունու.
Դդուտ օդուն ողունու
Եռուտունի ուսենիւս.
Եռուտունի ովրուն Ենդպրունիւսը.
Ենդպրուն եղուրուն
Ուշե օս տողուրունիւս.
Կը զժուինու-
Կոնցան մոմդուրու Ցորունիւսը.
Ուսուու Տրու Ցորունիւս...
Բու մըրու, Բու ողունու
Ունունիւս...

ՀՅԱԼ ՄԱՐԴՆԵՐ

Միեւնայնու մոտմու մը ջմբերաս լուծուու.
Ջմբերաս դրուեաւուն. օւրող դրուեաւուն.
ու զքաշերաս և կժու Անդրբուն պիտ Ենձուունին
րա զնուուղերտ. լուծուուու րա և կժուու.
և կժուու րա լուծուուու...
մը մեւ մուեանց. ուղից զդու Միմույնու.
նոյնու զի՞շերտ. ունցի Միմուչնուն?
ու ուշեցրա օրանիրաս...
ուշուն ուղերմու և մօրցաւու օրորացուն
և կժու Եսմու ննդր Ե՛կորմու
բաօստուց Կոյմուս. և մինու ջուկու?
պայտուն Եցչու յու լուծուու մունիրաս
րա ուշրուցն օրուուրու:
Միու րա Միմուչնուն. Տամու Ետու զմուու.
մեւ Միմրուց մյուուն մը մուն ուղերու
և կժու և կրուուրու. Ռուցաւ տու յուց.
մեւս մույսերաս. ուղ ունս Միմրուց.
Ռուց Միմրուրու...

ახალი სერვისი პასპორტის მისაღადავი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საზრდაობარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების სახელზე კასაროტის გაცემისათვის დაწერა ახალი მომსახურების სერვისი, კერძოდ საქართველოს მოქალაქეებს როგორთა სახელზეც უკვე გაცემულია კასაროტი ან კირადობის მოწმობა, ეძლევათ საშუალება დანიშნონ ზარმომადგენელი და მისი საშუალებით გირიონ ახალი კასაროტი (დაკარგულის, დაზიანებულის ან გადაბასულის ნაცვლად), ამისათვის საჭიროა მოქალაქემ სააგენტოს ვებ-გვერდზე (მისამართზე www.cra.gov.ge ან <http://passport.gov.ge>) შეავსოს საეციალური განცხადება (უნდა შეიტანოს თავისი პირადი და ზარმომადგენლის მონაცემები) და ელექტრონული კომუნიკაციის (ვიდეო თვალით) საშუალებით დაუკავშირდეს სააგენტოს უფლებამოსილ პირს, რომელიც გაავორდება ზარმომადგენლობის აქტს, რის საფუძველზეც 080 ზარმომადგენლად დასახელებულ პირს მიანიჭებს კასაროტის გაცემის ადმინისტრაციულ საჭიროსარმოებაში მონაწილეობის და დამზადებული კასაროტის მიღების უფლებამოსილებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ კასაროტის დამზადება შესაძლებელია სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში მოქალაქის ან ზარმომადგენლის სურვილის შესაბამისად, ხოლო მომსახურების სავასურია 155 ლარი.

სააგენტო იმედოვნებს, რომ ახალი სერვისი საქართველოს ბევრი მოქალაქისათვის იძნება საკმარის კომიტეტული. მათ აღარ მოუწევთ ასეული კილომეტრის დაზარვა საკონსულოები გამოსაცხადებლად და ვაკტიურად სახლიდან გაუსცლებლად შესძლებენ ახალი კასაროტის მიღებას.



ერმიტაჟის ქალთული სათვისტოში წილაპილი ცეკვა

შახათ 6 ნოემბერი 14.00 სათოდან 22.00 სათამებურთ
ერმიტაჟის ქალთული სათვისტოში 65 წლის სიუბილეურ სალამოზე.

სიუბილეურ სალამოზე ცეკვამისათვის შეკვეთი ისილონ აზიანული საარ-
ქიფო-დოცო-შასალა. მომელიც სათვისტოში ისცოდიასთან ერთად მის გან-
გრითამებას და ლეგანლელ საქმიანობასაც ასახავს.

დამწერებული საზოგადოებას სიცუკით მიმართავენ ქული და ახალი
თაობის ქალთულები. მონაცემები ცეკვამისათვის, ერმიტაჟი-ქალთული საზოგადოებ-
ების და უკიოვის ქულების ქალთული სათვისტოშის ცალიძომალებელები.

კონცერტი მონაცემების მიიღებულ ინეოლაციაზე ქალთული
ქამელული თორებელის ნერგები და ქალთული ბენდი „The Shin“.

ერმიტაჟის ქალთული სათვისტოში მოშენებულ ცეკვამისათვის ქალთული
ლუნითა და კურიერით ეყვანისინდლუება.

სიუბილეურ ლონისძიება შედგება შემდეგ მისამართზე:
Casino des KVR München
Ruppertstraße. 11
80337 München

სისამართო გელით თქვენ მოშენებას!

ჩვენი პატიონისა ამერიკაში გამომაფადი ქახთული გაზეთი „მამული“

გერმანიის ქართული სათვისტოში თორგანო
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

ლამაზებები-ბაზომსახილი:
გახანის კახთული სათვისტოში
სათვისტოში თავაჯორება: ცხი ლათაშვილი

სახელაქონი კოლეგია:
ნინო ხაბელაშვილი (მო. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ბერლინის მისამართი

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de